

რაგონად მოახერხებენ „ეროვნული“ სსპ-ს პოლიტიკურ ძალებთან პარტნიორობაში ყოფნას?

ინტერვიუ რობერტ ჰატირაშვილთან

— ბლოკს „ეროვნული თანხმობა-იბერიის გაბრწყინება“ რეგისტრაციის დროს პრობლემები შეექმნა. სუბიექტური მიზეზებით იყო ეს განხირობებული თუ ხელისუფლების მხრიდან ხელისშეშლა წინასწარგანზრახულად ხდებოდა?

— იყო გარკვეული სახის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. თქვენ იცით, რომ ჩვენი კავშირი ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა გაერთიანებას წარმოადგენს. წლების განმავლობაში ეს ხალხი იყო ცისებში, იზოლაციაში. პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებულნი იყვნენ. ბუნებრივია, მათ არ გააჩნიათ სახსრები საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. დანარჩენ პოლიტიკურ პარტიათა სპექტრს თუ გადავხედავთ, ყველას სახელისუფლებო პარტიებს ვუნდავთ, ვინც ჩვენს გარეთ არის. ფაქტობრივად, ყველა „მოქალაქეთა კავშირის“ წილიდანაა აღმოცენებული. მათ, რა თქმა უნდა, ჩვენთან შედარებით ძალიან დიდი ფული აქვთ, რომელიც თავის დროზე მიიტაცეს და არაფერს იშურებენ, რათა ისევე დარჩნენ ხელისუფლებაში. ჩვენი შესაძლებლობები ამ თვალსაზრისით მწირია, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაზე. ჩვენ ყველანაირად ვეძებოდათ კანონით გათვალისწინებულ დროში, მაგრამ როდესაც დავინახეთ ჩვენი სივრცის კომპიუტერიდან ამობეჭდილი, გამოიქვეთილი დენი, რის გამოც შევეცდებოდა საბუთების გამზადების პროცესი. ნაწილ-ნაწილ მიგვეკონდა სიები. ძირითადი მასალა მიტანილი იყო, მხოლოდ სია იყო მისაბინა, რისი მიტანის უფლებაც ბოლო საათამდე გვექონდა. რაღაც ნაწილი სიებისა მივიტანეთ და საკმაოდ დიდი ნაწილი აღარ დაგვიფიქსირეს. შეიძლება შუქის გამორთვაც მათი მხრიდან მიზანმიმართულად იყო გაკეთებული, რათა ხელი გვეგმოლოდა. რეგისტრაციაში მაინც გატარდა ჩვენი პარტია, ველოდებით კენჭისყრას, რათა ოფიციალური ნომერი მოგვცენ.

— რამდენიმე პარტიაა ამ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული და რა პრინციპით მოხდა ბლოკში შემავალი სუბიექტების შერჩევა?

— ბლოკში გაერთიანებული არის ორი პარტია. ეს არის „ეროვნული თანხმობა“ და სამართლიანობის აღდგენის კავშირი“, რომლის თავმჯდომარეც გახლავთ გურამ აბსაძე, და პოლიტიკური მოძრაობა „სამეფო გვირგვინი“, რომლის ხელმძღვანელიც არის ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელი. შერჩევის პრინციპი ასეთი გახლდათ: პარტია უნდა ყოფილიყო ეროვნულ პოზიციაზე მდგომი. გარდა ამისა, ჩვენთან არიან საარჩევნო რეგისტრაციის არმქონე პარტიები: „სახალხო ფრონტი“ — თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, „თეთრი გიორგის“ ორგანიზაცია ედიშერ გრიგოლის თავკაცობით და „ნაციონალები“ გაიოზ მამალაძის ხელმძღვანელობით. ყველა პოლი-

ტიკური მოძრაობისთვის, ყველა იმ ადამიანისთვის ღიაა ჩვენი ბლოკის კარი, ვინც იზარებს იმ აზრს, რომ უნდა ავაშენოთ ეროვნული, დემოკრატიული მართლმადიდებლური და საერთოდ ქართული სახელმწიფო.

— 2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღება ბლოკის წევრებს კომპრომისად მიაჩნიათ. რა მიზეზების გამო გადაიგდა ეს კომპრომისული ნაბიჯი და რა შედეგებს ელით არჩევნებისგან?

— 1990 წ. 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს დეპუტატები ამ არჩევნებში არ

რთულია ზუსტ შედეგებზე საუბარი. თუ არჩევნები ცოტათი მაინც იქნება ობიექტური, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ 17-20% მივაღწევთ. საერთოდ, პრონოზი ცოტა ძნელი საქმეა. არსებობს საქართველოში ისეთი რაიონები, სადაც გაუძღვინ ამ ზენოლას, მოსყიდვას, ძალადობას და მაინც ჭეშმარიტ ეროვნულ ძალებს მისცემენ ხმას.

— თქვენთვის ცნობილია თუ არა გაყალბების მექანიზმები? თუ ძველი მექანიზმები იქნება გამოყენებული, გაყალბების ისეთი ფორმა, როგორც არის მკვდარი ადამიანების დაფიქსირება, თქვენი აზრით, რას ემსახ-

ბრვ მოვლანობაში არ ვიღებდით მონაწილეობას. ამასობაში ამათ დაიტაცეს მთელი ქვეყნის ქონება. რთულია საუბარი იმაზე, რომ რაღაც თანხმობა მოხდეს, მაგრამ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიცით, ქვეყანა მეტს ვეღარ გადაიტანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ გავუნოვოთ ყველას ხელი და ერთი წლის წინ წამოვყენეთ წინადადება — ჩატარდეს ეროვნული თანხმობის არჩევნები. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველა მხარეს უნდა შეგვექმნა ის გარემო, სამართლიანი სიჭრაცე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ნაღდი არჩევნების ჩატარება. მაგრამ ეს არ გააკეთეს. მოგე-

ლოს მართვის ფორმაა. სადაც კორუფცია ბატონობს, იქ რაიმე ნორმალური პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე შედეგითა საუბარი. ჩვენს თვალსა და ხელს შუა იღუპება ქვეყანა, დემოგრაფიკული წინასწარმეტყველებენ, რომ 2025-2030 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შესაძლოა, 1 მილიონამდე შემცირდეს. სწორედ ამან გადაგვანყვებინა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. აუცილებელი იყო ჩვენი ჩართვა ამ პროცესებში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

— დღეს საქართველოში ხელისუფლება ფეხის ფრჩხილის თმის ძირამდე კორუმპირებულია. საერთაშორისო ორგანიზაციებიც ამას ასაბუთებენ. კორუმპირებულია სიაში საქართველოს ბოლოდან მე-7 ადგილი უკავია და კოეფიციენტი — „1,8“ შეესაბამება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი იყიდება. ამის გათვალისწინებით როგორ დაახასიათებდით თქვენს საარჩევნო სიას...

— ჩვენ გვაქვს რამდენიმე პარტიის სია, სადაც ნათლად ჩანს, რომ იგი იმის მიხედვით არის შედგენილი, თუ ვინ რამდენი გადაიხდა. ამას არც მალავენ. როცა დეპუტატი ადგილს პარლამენტში ყიდულობს მოსახლეობისგან ან პარტიული ლიდერებისაგან, პრაქტიკულად წინასწარ აცხადებს, რომ ეს მისი საკუთრებაა. ამის გამო ის არავის წინაშე ვალდებული არაა. უკვე არჩევნებში იდება კორუფციის საფუძველი და კარგს აღარაფერს უნდა ველოდეთ. ჩვენს ბლოკში ვერავინ იტყვის, რომ იქ ამგვარი ინტერესი იყო. სიები მხოლოდ იმ ხალხსაგანაა შედგენილი, ვინც წლების განმავლობაში იბრძოლა, შეინარჩუნა ეროვნული რძინობა და იშრომა, რომ შექმნილიყო საფუძველი პოლიტიკური ბრძოლის გასაგრძელებლად. ჩვენთან გამოჩნდნენ ღირსეული ადამიანები, ვინც შეძლო ამბიციებზე მაღლა შედგარიყო და უკონფლიქტოდ შევადგინეთ სიები.

— საარჩევნო სიების გამოქვეყნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე 7% ბარაჟის გადალახვის შემთხვევაში გამსვლელ 15 კაცს შორის არ იმყოფება. რამ განაპირობა ამგვარი გადაწყვეტილების მიღება?

— ეროვნული თანხმობის კავშირის საბჭოს წევრებს შორის ბატონი ნოდარ ნათაძისადმი ნორმალური დამოკიდებულება აქვთ. ჩვენი ბიოგრაფიების გარკვეულ მონაკვეთში ჩვენი გზები გაიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ძალზე ხანმოკლე პერიოდი იყო, ამ ბრძოლაში ჩვენ ყველა ერთად ვდგავართ. რაც შეეხება სიებს, ბატონმა ნოდარმა ღირსეულად განაცხადა, რომ მისთვის უმთავრესი არ იყო სიის თავში იქნებოდა თუ ბოლოში. იგი ბედნიერი იყო იმით, რომ ამ პოლიტიკურ სპექტრში დარჩა თუნდაც ერთი პარტია, რომელიც არ გაიყიდა და ხელისუფლების საუკლიტ პარტიათა შორის არ აღმოჩნდა. ამიტომ დადგა ჩვენს გვერდით.



„ეროვნული თანხმობა-იბერიის გაბრწყინება“

ვიღებთ მონაწილეობას. გვინდა, რომ შევინარჩუნოთ იმ უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა. ვფიქრობთ, რომ ეს ერთ-ერთი მიზეზია, რატომ უამრავი ისეთი დოკუმენტი მიიღო და უამრავი ისეთი საქმე გააკეთა, რომელიც მომავალში აუცილებლად გამოადგება ქვეყანას. ის სუბიექტები უნდა არსებობდნენ, ვინც ამას შეინარჩუნებს.

ამ 12 წლის განმავლობაში საქართველომ ბევრ უცხოურ ძლიერ ქვეყანასთან დაამყარა ურთიერთობა, მიუხედავად ჩვენი წინადადებისა, რომ არ დაემყარებინათ არავითარი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობა ამ ძალადობით მოსულ ხელისუფლებასთან, ეს მაინც მოხდა. ძალადობით მოსული ხელისუფლება, ფაქტობრივად, ანგრევს საქართველოს, მის ეკონომიკას. ყველანაირი ღირსება დაუკარგეს ქართველ ხალხს. აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებაში იყოს ჭეშმარიტად ქვეყნის ინტერესების გამომხატველი რაღაც ნაწილი ხელისუფლებისა. ამიტომ დაუჭირეთ იდეას მხარი, როგორმე მოვიყვანოთ ასეთი ხალხი ხელისუფლებაში. რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, უკვე ისეთ პოლიტიკურ მოძრაობას ვხედავთ სამთავრობო ბლოკიდან ენ. „ახალი საქართველოსათვის“ და სხვებისგან, აუცილებლად გაყალბდება არჩევნები.

გაურცელდა ინფორმაცია, რომ 6000 მკვდარი სულის სიაა შექმნილი. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ემზადებიან დიდი გაყალბებისათვის. ამ შემთხვევაში

ურება; ვთქვათ, ხელოვნურად ბარაჟის 7%-ის ნაცვლად 10-15%-მდე გაზრდას?

— ეს ემსახურება ხელისუფლების შენარჩუნებას. ბუნებრივია, მკვდარი ადამიანების სიაში შეტანა გაზრდის ბარაჟის რაოდენობის ციფრს, რომელიც 7%-ია და დაკარგული ხმების რაოდენობას მიითვისებენ. გარდა ამისა, არის უამრავი სხვა მეთოდი. ყველაზე ნაღდი „ნაჯახის“ მეთოდია, როცა არ გასდით, შედიან ძალადობით და პირდაპირ ამტყვევენ და მიაქვთ ყუთები. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ შევძლებთ ჩვენი ხმების დაცვას. ჩვენ გვაქვს ხალხის იმედი.


სამწუხაროდ, ძალიან ცუდი პროცესები განვითარდა ამ 12 წლის განმავლობაში: პოლიტიკური ნების წართმევა იგივე ღირსების წართმევაა და ამას რომ წაგართმევენ, მერე რაც სურთ, იმას გაგიკეთებენ. ასეც ხდება.

— საქართველოს სსრა ეროვნულ თანხმობაშია — ასეთია ბლოკის დევიზი. ეროვნული თანხმობა ფრთად სანატრელია საქართველოსთვის. რამდენად მოახერხებენ „ეროვნული“ სხვა პოლიტიკურ ძალებთან პარტნიორობაში ყოფნას?

— ჩვენგან უნდა ნამოსულიყო ასეთი დევიზი. ჩვენს შორის არის ისეთი ხალხი, რომელთაც ამ 12 წლის განმავლობაში უამრავი უბედურება აქვთ გადატანილი — დევნა, შევიწროება, დაჭერა, გაძარცვა. მოგესხნებათ, რომ ამ პოლიტიკურ და საზოგადოე-

სენებათ ამაში თითქოსდა საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთნენ. ბეიკერი ჩამოვიდა, ჩამოვიდნენ სენატორები. ძლიერია ჩვენს ხელისუფლებაში თვითგადარჩენის ინსტიტუტი. უნდათ, ყველა მხრიდან იყოს დაცული მათი დატაცებული ქონება. ძნელია თანხმობის მიღწევა. თანხმობას პირველ რიგში უნდა მივალნიოთ იმაში, რომ ქვეყანას სჭირდება გადარჩენა. საჭიროა არჩევნების ობიექტურად ჩატარება, ადამიანურად ცხოვრება და საერთოდ თემატურად მაინც უნდა შევთანხმდეთ. ამ შემთხვევაში ეროვნული თანხმობა ნიშნავს იმას, რომ ხალხს მიეცეს საშუალება, ჩაერთოს ამ პროცესებში. სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბრობენ... ადამიანს წაართვეს თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალება. მე მიმანია, რომ 1990 წ. 28 ოქტომბრის არჩევნებში გადადგარიყვნა პირველი ნაბიჯი სამოქალაქო საზოგადოების შექმნისაკენ. იმიტომ, რომ მან პირველად გააკეთა არჩევანი, რომელშიც არ იყო დიქტატი. ამ ნაბიჯის გამო დაისაჯა ერი და დღემდე მიდის ხალხის წინააღმდეგ ომი.

ხანდახან სიმწრით მეცინება ხოლმე, როცა არასამთავრობო ორგანიზაციები ხალხს აბრალებენ, თითქოს არ უნდათ ქვეყნის წინსვლა. ისეთი მენტალიტეტი ჩამოყალიბდა, რომ მხოლოდ ქურდობაზე ფიქრობს ხალხი. ხელისუფლება სპეციალურად აკეთებდა ყველაფერს, რომ ამგვარ მდგომარეობაში ჩავერდნილიყავით. კორუფცია საქართვე-



2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეს 43 სსმ-ს მხარე უნდა ჰქონდეს. თითქმის არც ერთ მათგანს არ მიუძღვნა ამომრჩევლისთვის თავისი არმარაგის წარდგინა, ხოლო მინც წარადგინა („მეგრელები“), მათგანთაგან მხოლოდ ერთი იყო მხარე მხარე.

მასალა, რომელსაც მიიღო მუდამით (და მომავალ წლებშიც წარუდგინო) დამთავრებული ანუ საბარათო-ლოს სახალხო ფორუმის მიერ „გაქვამდგომელი“ პროგრამა არ არის. ის გახლავთ იმის ილუსტრაცია (ძირითადად ხაზგასმით), თუ რას ეწოდება აბრეშული პროგრამა და როგორ უნდა იყოს იგი.

დღეს ტელევიზორზე მხოლოდ სამთავრობო და „ოპოზიციურ“ პარტიებს რომ პროგრამები ანუ კვლევითი პროგრამები მოუწოდებდნენ და აბრეშული წარდგინა სამომავლო გეგმა უძონდათ, არ გავიხაროდა ის სამარცხვინო მდგომარეობა, რომ ამომრჩევლებს მხოლოდ 9% ინტერესდება აბრეშის პროგრამით.

1. საქართველოს სამხრეთი რაიონებიდან (ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი, ბოგდანოვკა, აშუაშაძე — ნინოწმინდა) მაჰმადიანური მოსახლეობის გასახლება 1944 წლის 15 ნოემბერს იყო სსრკ ხელისუფლების ღონისძიება, რომელსაც მიზნად ჰქონდა სსრკ ტერიტორიაზე თურქეთიდან მისთვის არასახურველი პირების შემოსვლის გაქვამდა და სასაზღვრო ზოლში თურქეთისადმი სიმპათიით განწყობილი მოსახლეობის არარსებობა. ამ მიზნით ამ მოსახლეობას ბრალად დაედო სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედება და ეს ბრალდება მიღებულ იქნა სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციად, თუმცა არავითარი სასამართლო განხილვა მისი არ მომხდარა. ამ ბრალდებით გამოწვეული რეპრესია (გასახლება) მიყენა სხენებულ რაიონთა მუსლიმურ მოსახლეობას მთლიანად, ჩვილი ბავშვების ჩათვლით, რაც წარმოადგენდა დანაშაულს ადამიანობის წინააღმდეგ.

ზემოხსენებული გასახლება ჩატარდა სსრკ მთავრობის გადაწყვეტილებით. საქართველოს სსრ და მისი ხელისუფლებას, თავისი მარიონეტული სტატუსის მიუხედავად, ამ გადაწყვეტილებაში მიღებაში და განხორციელებაში (სსრკ შინაგანი უფროსი მიერ) არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. ეს დანაშაული ჩადენილი იქნა საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ არა საქართველოს მიერ. შესაბამისად, ამ დანაშაულზე არაფერს ვთქვამთ. პასუხისმგებლობა, ყოველგვარი ზარალის კომპენსაციის ჩათვლით, აწევს მხოლოდ სსრკ სამართალმემკვიდრეს — რუსეთის ფედერაციას, მაგრამ არა საქართველოს.

60-იან წლებში სსრკ-ს შედარებით „დემოკრატიზაციის“ პროცესში სსრკ ხელისუფლებამ მოახდინა ზემოხსენებული (სასამართლო პროცესის გარეშე მიღებული) ბრალდებით რეპრესირებული „რეაბილიტაცია“, ანუ მათ ზემოხსენებული ბრალდება მოუხსნა. ამ იურიდიულ ნაბიჯს, ისევე როგორც ზემოხსენებული ბრალდების მიღებასა და ზემოხსენებული რეპრესიის ჩატარებას 1944 წელს, არავითარი კავშირი არ ჰქონია საქართველოს სსრ მარიონეტულ ხელისუფლებასთან ან ამ უკანასკნელის პოზიციასთან გასახლებულთა მიმართ.

„რეაბილიტაციის“ შემდეგ, 60-იან წლებში, 1944 წლის რეპრესიით დაზარალებულებმა და მათმა შთამომავლებმა მოინდომეს საქართველოში, თავის ძველ სამოსახლოში ანუ სასაზღვრო ზოლში დასახლება, მაგრამ სსრკ ხელისუფლებამ ეს არ დაუშვა იმავე მიზეზებით (იმავე მოტივებით), რომლითაც 1944 წელს ხელმძღვანელობდა ზემოხსენებული გასახლების (დემორტაციის) დროს. საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება ისევე იგდა ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გარეთ, როგორც 1944 წლის რეპრესიის დროს.

1960-იან და 1970-იან წლებში საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს პატრიოტულად განწყობილი საზოგადოების გავლენით შემოიყვანა

V. სამხრეთ საქართველოდან სსრკ ხელისუფლების მიერ 1944 წლის 15 ნოემბერს გასახლებული (დაპირბრუნებული) მაჰმადიანური მოსახლეობისა და მისი შთამომავლების მიმართ საქართველოს პოლიტიკის თაობაზე ვერსიების შესახებ გამოთქმული რეკომენდაციის შესახებ

საქართველოში 1944 წელს დემორტირებული რამდენიმე ათეული ოჯახი და დასახლება სასაზღვრო ზოლის გარეთ. თქმულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა და იურიდიულად უმართებულოა, რომ საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტებში, რომლებიც 1944 წელს საქართველოდან გასახლებული მუსლიმანებისადმი ან მათი შთამომავლებისადმი გასატარებულ ამა თუ იმ ღონისძიებას ეხება (სწავლაში დახმარება, საცხოვრებლის მიცემა და ა.შ.), იხსენიებოდეს საქართველოს წინაშე მათი „დანაშაულობა“, როგორც ამ ღონისძიებათა მოტივი, ან მათი წინა თაობის მიმართ ჩადენილი დანაშაული, რომელიც, როგორც ვთქვით ზემოთ, საქართველოს არ ეკუთვნის.

2. იმავდროულად, 1944 წლის დამლევს მოხდა მაჰმადიანი მოსახლეობის ანალოგიური გასახლება სომხეთიდან, ისევე სსრკ მთავრობის გადაწყვეტილებით და სსრკ შინაგანი უფროსი ძალით. ამ რეპრესიის მსხვერპლებიც ასევე „რეაბილიტირებულ“ იქნენ სსრკ ხელისუფლების მიერ 60-იან წლებში და ასევე მოინდომეს თავის ძველ სამოსახლოში დასახლება. მათ უარი მიიღეს სსრკ-ს ხელისუფლების მიმართ პოზიციის გამო. განხილვაზე საქართველოდან გასახლებულთა მდგომარეობასა და სომხეთიდან გასახლებულთა მდგომარეობას შორის მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ სომხეთის ხელისუფლებამ არც ერთი რეპრესირებული ოჯახი არ დაასახლა — არც სასაზღვრო ზონაში, არც მის გარეთ.

დღეს სომხეთიდან 1944 წელს დემორტირებული და მათი შთამომავალი პოლიტიკურ ასპარეზზე საკუთარი სახელით არ ჩანან. ძნელი დასაშვებია, რომ მათ ამირეკავკასიის რეგიონში დასახლებულ ხელი აღებული აქვთ. ამიტომ საგარეოა და მას იხილი მიერთებულნი არიან საქართველოდან დემორტირებულთა და მათ შთამომავალთა მასას და საქართველოში დასახლებას ესწრაფვიან.

დოკუმენტების სიმცირის და არსებული დოკუმენტების ჩვენი სახელმწიფოსთვის მიუწვდომლობის პირობებში (ეს დოკუმენტები რუსეთის ხელთაა) და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების რუსული ორიენტაციის პირობებში საქართველოს არ გააჩნია იმის საშუალება, რომ 1944 წელს დემორტირებულ მაჰმადიანებსა და მათ შთამომავლობაში განასხვავოს საქართველოდან გასახლებულთა სომხეთიდან გასახლებულთაგან.

3. 1944 წლის ზემოხსენებული დანაშაულზე რეპრესიის გასახლების (დემორტაციის) მსხვერპლი (დაზარალებული) იყო არა ორი — ადამიანთა მასაც და

ერც (ეთნოსი), — როგორც ეს მოხდა კავკასიაში ქსტების, ჩეჩნების, ბალყარელებისა და ყარაჩაელების გასახლების დროს, არამედ მხოლოდ პირველი, სახელდობრ, ადამიანთა მასა (80 ათასი სული, მათ შორის — ახალშობილნი). საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან რეგიონური ნიშნით გასახლებულნი არ იყვნენ ერთი ან ეთნოსი. მათი დიდი ნაწილი იყვნენ ეთნიკური ქართველები, კერძოდ, მესხები ანუ ქართველი ერის შემადგენელი ერთ-ერთი ტომის, მესხების წარმომადგენელი, მცირედი ნაწილი კი (დაახლოებით 10) ეთნიკური ქურთები და ეთნიკური თურქები,

არამედ თურქეთის ტერიტორია, კერძოდ, ახალციხის საფაშო (როგორც ეს იყო XVII ს-დან 1830 წლამდე), რაც პირდაპირ წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან და საქართველოს საყოველთაოდ აღიარებული ტერიტორიის დაცვის ამოცანასთან. ეს პოზიცია ღიად ცხადდება ეარკვეული პოლიტიკური ჯგუფების (მაგ. „ვათან“-ის) მიერ. ამგვარი პოლიტიკური პოზიციის ადამიანთა დასახლება საქართველოში შეუთავსებელია სახელმწიფოს ინტერესებთან.

7. საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს უფლება საქართველოში იმიგრაციის

რომლებიც ამ ზონაში თურქული ბატონობის დროს შემოვიდნენ (XVII-XVIII-სს.) და თარაქამები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებამ შემოიყვანა XIX ს.-ში. ქრისტიანი ქართველები, კერძოდ, მესხები, არ გასახლებულან. თურქებისა და ქურთების ეთნოსებს გაქრობის ხიფათი არ შექმნიდა. მაჰმადიან და, ამდენად, თურქულ თვითცნობიერებაში აღებული ქართველებს არ ჰქონიათ თავისი თავის მიმართ რაიმე სხვა ეთნიკური ტერმინი გარდა ერთისა — „იერლი“, რაც თურქული სიტყვაა და „ადგილობრივს“ ნიშნავს. ამგვარად, დანაშაულის შედგენაში მიღებული მორალური და მატერიალური ზარალის კომპენსაციის ამოცანა დედა მხოლოდ მის შედეგად დაზარალებული ადამიანთა მასის, და არა ეთნოსის, მიმართ, ანუ მხოლოდ იმათ მიმართ, ვინც თვითონ განიცადა გადასახლება (თუნდაც ჩვილ ასაკში), და არა ამ გასახლების შემდეგ გაჩენილი მათი შთამომავლების მიმართ. ამ უკანასკნელთ სხვა პრეტენზია საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის შიგნით ვერა ექნებათ რა თუ არა მემკვიდრეობის უფლება საკუთრებაზე, თუ მათ წინაპრებს ასეთი საკუთრება დარჩათ საქართველოში.

4. მცირეწინა საქართველოში 1944 წლის გასახლების შემდეგ სწრაფად მოხდა ხსენებული ოთხი რაიონის ეკონომიკურ შესაძლებლობათა ათვისება როგორც ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის, ისე სხვა განსაკუთრებით მცირეწინა რაიონებიდან შემოსულის მიერ. დღეს ამ რაიონებში მოსახლეობის მასობრივი შემომატება გარდუვალად გამოიწვევს სისხლიან კონფლიქტს, რის გამოც იგი დაუშვებელია.

5. მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის კულტურული და ფსიქოლოგიური გათურქების პროცესში დიდი როლი ითამაშა რუსეთმა (XIX-XX), რომელსაც თვითმზნად ჰქონდა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი პოზიციის დასუსტება საერთოდ და ამ ზონაში კერძოდ. ის ფაქტი, რომ სსრკ ხელისუფლებამ 1989 წელს მოაწყო გასახლებულთა ფლექსი ფერგანაში და რომ რუსეთი დღეს თავის ტერიტორიაზე ვერ ქმნის უსაფრთხო პირობებს ამ ადამიანთა ცხოვრებისათვის, მხოლოდ იმის შედეგია, რომ რუსეთის კვლავაც ამ ადამიანების ხელით საქართველოში სისხლიანი დესტაბილიზაციის ორგანიზება ჰსურს.

6. გასახლებულთა და მათი შთამომავლობის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის (ყოფ. ბოგდანოვკის) რაიონები უნდა იყოს არა საქართველოს ტერიტორია,

დაშვებისა, მცირე ზომითაც კი, მანამდე, სანამ არ დაუბრუნებია აფხაზეთიდან და ცხინვალის ზონიდან ლტოლვილები მათს სახლებში.

8. თუმცა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველო არაა ვალდებული, რომ თავის მიწაში წაყვანულ დასახლებულ 1944 წელს მის ტერიტორიაზე სსრკ ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად რეგიონური ნიშნით გასახლებული არც ერთი პირი ან მისი შთამომავალი, მით უმეტეს, დასახლოს არა თავისი კეთილი ნებით, არამედ როგორც უცხო ორგანიზაციის დაცვის ქვეშ მყოფი, საქართველოს ინტერესს არ დაკარგოს თავისი ეთნოსის ნაწილი, თავისი სისხლი და ხორცი, რომელმაც უცხო ძალების მოქმედების შედეგად თავისი ქართული ეროვნული თვითცნობიერება დაკარგა მთლიანად ან ნაწილობრივ. საქართველოს ინტერესთა, თავის მინაწყალზე შემოიყვანოს და თავისი დამოუკიდებელი დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენებაში ჩართოს ამ ადამიანთა ის ნაწილი, რომელსაც ამ პროცესში მონაწილეობა ჰქონდა, მაგრამ დანაშაულის მენტილიტეტი ამისთვის მზად იქნება. აქედან გამომდინარე, საქართველო შემოიყვანოს თავისი მინაწყალზე, თავისი საკუთარი არჩევანი, სამხრეთ საქართველოდან სარწმუნოებრივი ნიშნით 1944 წელს გასახლებულ მაჰმადიან ქართველთა შთამომავლებს, მაგრამ შემოიყვანოს მათ იმ რაოდენობითა და იმ ტემპით, რომლითაც შეეძლებს მათთან ასხა-განმარტების მუშაობას და მათში საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის პრინციპთა ნათელი ცნობიერების შეტანას.

9. თქმულის გათვალისწინებით, ევროსაბჭოს რეკომენდაცია 2012 წლამდე საქართველოში 1944 წელს სსრკ მთავრობის მიერ გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის მთლიანად შემოსახლების შესახებ მიუღებელია. ეს რეკომენდაცია შედეგია არაინფორმირებულობისა რეალური ვითარების შესახებ და არასაკმარისი პასუხისმგებლობისა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების მიმართ.

ევროსაბჭოსთან ამ საკითხზე მოლაპარაკების მწარმოებელი ქართველ პარლამენტართა მოქმედება, კერძოდ ის, რომ მათ ვერ აუხსნეს ევროსაბჭოს წევრებს რეალური ვითარება და არ გაუწიეს წინააღმდეგობა ამ რეკომენდაციის მიღებას, უნდა შეფასდეს როგორც უკიდურესი არასერიოზულობა და ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთგულების დეფიციტი.



ისტორია, რომელიც უნდა უნდა ახსოვდეს

ავღანეთის ომმა დიდი როლი ითამაშა „ბოროტების იმპერიის“ დანგრევის პროცესში, მაგრამ მის ზოგ სვლათა მართებულობას ახლა კითხვის ქვეშ აყენებენ. ჯორჯ კრეიგის ბუთსაგვერდითი წიგნი „ჩემი მტრის მტერი“ მოგვითხრობს „ისტორიის ყველაზე დიდი ფარული ომის შესახებ“ — ამერიკელთა მიერ ავღანელი მუჯაჰედინების შეიარაღების ამბავს (ყოველზე დიდი ეს ომერაცია, როგორც ჩანს, იმით არის, რომ რამდენიმე მილიონ დოლარით დაწყებული მისი მასშტაბი საბოლოოდ ყოველწლიურად მილიარდ დოლარამდე გაიზარდა). სახელდობრ, წიგნი მოთხრობდა ია, როგორ იღვანა ამერიკელმა კონგრესმენმა ჩარლი უელსონმა იმისთვის, რომ ამერიკელთა მიერ რუსული შევიწროვების ჩამოსაგდებად იარაღი ავღანელებისთვის, რადგან, ეს რომ არ მომხდარიყო, ავღანელი მემორტი ხელისუფლებით რჩებოდნენ საბჭოთა კავშირის ამ უძლიერეს იარაღის პირისპირ.

კონგრესმენმა და ქვეყნის თავის თავმჯდომარე უელსონმა თავისი ეს ომერაცია ჩაატარა ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს (CIA) და სახელმწიფო დეპარტამენტის წევრის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ეროვნულად რუსეთის წევრს, რადგან შიშობდნენ, რუსეთს სანაცვლოდ არ დაერთყა პაკისტანისთვის, სადაც იმ დროს ავღანელი მემორტების მოსამზადებელი ბანაკები იყო განლაგებული. კონგრესმენმა მოახერხა, თავის მხარეს გადაებრუნებინათ თავისი პაკისტანის პრეზიდენტი გენერალი ზა ულ პაკი ქი, რომლის ქვეყანაც ამით რუსული დარტყმის სამიზნე ხდებოდა. მარ-თალია, ზა ულ პაკი მალე მოკლეს და მან ვერ შეძლო კონგრესმენთან ერთად ქაბულის ქუჩებში თეთრი ცხენით ჩაგვლა“ ავღანელთა განმარტების შემდეგ, როგორც განზრახული ჰქონდა, მაგრამ თავისი საქმის ქნა მინც მოახსნო.

ახლა, წიგნის რეცენზენტის თქმით, კონგრესმენის როლის შეფასება განაღვივებს მოთხოვნას: მართალია, მან თავისი ამ ღვაწლით საბჭოთა კავშირს დიდი დარტყმა მიყენა, მაგრამ ღირდა ის ომი იმ გარეშად, რომელიც მასში დაიხარჯა დასავლელთა მხრიდან? საქმის გახლავთ, რომ სსრკ უფროსად დაკონტროლდა თავის მიმიწ შინაგან წინააღმდეგობათა გამო, და საექვრად, დასავლეთის ამ ჩარევამ, იარაღის მონაწილეთაში რომ გამოვლინდა, საბოლოო ჯამში სარგებლობა მეტი მოიტანა თუ ზიანი.

ეს კითხვა იმიტომ დგას, რომ ავღანეთში ომი მხოლოდ ავღანელთა მხრივ არ გადასულა. მასში მონაწილეობდნენ მრავალი სხვა ქვეყნისა და მოსული მოსახლეობის დიდი რაოდენობით და სწორედ ამით ეწოდება „ავღანი“ — ავღანელები — და არა ავღანეთში მოხილსა და აღზრდილ მემორტებს. ეს უცხოელები, ბრძოლაში განჭრთილნი და ისლამური სარწმუნოებაში განმტკიცებულნი, მოედვნენ ომის დამთავრების შემდეგ მთელ მსოფლიოს და იქ გაიტანეს „კლავის“ (ანუ „საღვთო ომის“) გამოცდილებაც და სულისკვეთებაც: ბნელ ღამეში ერთი ამგვართაგანია. იგი ავღანეთის ომის მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ავღანელ საველე მეთაურთან პიქეთიართან იმყოფებოდა. შემდეგ კი თავისი გამოცდილება ტერიტორიის ორგანიზებისათვის გამოიყენა. მუჯაჰედინთა შეიარაღების მეთოდთა არაპირდაპირი და არასასურველი შედეგები ის იყო, რომ ავღანეთში გამარჯვების შემდეგ დარჩენილ მრავალგვარ შეიარაღებულ რაზმებს შორის დანაყოფიერებებში, რომელმაც სულ ბოლო დრომდე მთავრანა. საფუძვლები, რომ აღნიშნული გარემოებები დღევანდელ რთულ ვითარებებში აიძულებინა დასავლეთის დემოკრატიის წევრებმა სოფრთხილზე კი გამოიჩინონ თავისუფლებისათვის მემორტი ამა თუ იმ ხალხისთვის იარაღით დახმარების აღმოჩენის საქმეში, რაც, სამწუხაროდ, გააძლიერებს ამ ხალხთა ქვეყნების უცხო მკერობელთა პოზიციებს რუსეთში და სხვაგან.

იმათ, ვისაც „ბოროტების იმპერიის“ წინააღმდეგ თავზე გამოგვიტანა, ამ თემაზე ჩვენი საკუთარი აზრი გვაქვს. ჯერ ერთი, მხოლოდ შინაგანი სრისი მედეგად ეს იმპერია კიდევ დიდხანს არ დანგრეოდა, მეორეც, „ხალხთა საჭრობი“ და, რომელიც დედამიწის მეტეჯესად მოიცავდა, უფრო დიდი ბოროტება იყო, ვიდრე რაგინდარა ტერიტორიული საფრთხე

მე-4 გვერდიდან

VI. აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა

გამომდინარეობს, რომ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის ამოცანა დღეს, აფხაზეთში ქართველთა მოსახლეობის, ანუ მოსახლეობის 46 პროცენტის, აგრეთვე დანარჩენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის არყოფნის პირობებში, იქ უკანონო იმიგრანტების დიდი მასის არსებობის პირობებში, იქ არძინასა და ნაშუალებრივი ჯგუფის ერთ-პიროვნული მმართველობის პირობებში და იქ რუსეთის საკუთრივ დამპყრობელი ჯარის, ანუ არა მხოლოდ გაეროს ვეგდით იქ მყოფი „სამშვიდობო ძალების“, დგომის პირობებში დღის წესრიგიდან უნდა მოიხსნას.

3. აფხაზეთის პრობლემის მოგვარების იურიდიულად, პოლიტიკურად და მორალურად დამაკმაყოფილებელი ნაბიჯების თანმიმდევრობა მხოლოდ (დაახლოებით) ამგვარი შეიძლება იყოს:

ა) (პარალელურად) რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შეწყვეტა მისი შეიარაღებული ძალის გაყვანის სახით.

ბ) (პარალელურად) აფხაზეთში რუსეთის სამხედრო აგრესიის შეწყვეტა.

გ) (პარალელურად) რუსეთის მიერ უკვე წარმოებული გამოუცხადებული ომის, მისი ინსპირაციითა და დაცვით ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნოწმენდის, მისი ხელშეწყობით დღეს მიმდინარე ქართველი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობისა და აფხაზეთში უკანონო იმიგრაციის ორგანიზებულ სტრუქტურების ფაქტის ცნობა საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო და სხვათა) მიერ.

დ) (პარალელურად) მთლიანად საქართველოში რუსეთის აგრესიის შეწყვეტა მთელი საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის სახით, საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 1 ივნისის №125 დადგენილების შესაბამისად „საქართველოდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების 1995 წლის 31 დეკემბრამდე გაყვანის შესახებ“.

ე) აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის რეალური აღდგენა (სასურველია — საერთაშორისო ორგანიზაციების, მაგრამ არა უშუალოდ მეზობელი სახელმწიფოების, მონიტორინგით).

ვ) დევნილი მოსახლეობის დაბრუნება.

ზ) აფხაზეთში (საქართველო) დროებითი სახელისუფლებო წარმომადგენლობითი ორგანოების არჩენვები განდევნილი მოსახლეობის მონაწილეობით და საერთაშორისო მონიტორინგით.

თ) აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა და აფხაზეთში სახელისუფლებო წარმომადგენლობითი ორგანოების მთელი სისტემის არჩევა დადგენილი სტატუსის შესაბამისად.

ბ) რუსეთისა და საქართველოსთვის მოყენებული მორალური და მატერიალური ზარალის განსაზღვრა და მისი ანაზღაურების საკითხის ოფიციალური დასაბუთება აგრეთვე დამნაშავეთა წინააღმდეგ საქმის აღძვრა აფხაზეთში მომხდარი გენოციდისა და ეთნიკური წმენდისათვის, დამნაშავეთა დასჯა.

4. წინააღმდეგ უშიშროების საბჭოსათვის მიწოდებული მოსაზრებებისა, რომ, სამართლიანობისა და მშვიდობიანობის ინტერესებში, მიზანშეწონილია მოხდეს აფხაზეთის სტატუსის ამაღლება ფედერაციის სუბიექტის სტატუსამდე, ეს ნაბიჯი იქნებოდა უსამართლო და ქართველი ხალხის მიმართ და ისეთი სახისად საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობაში, რომელიც არ გამოდინარეობს ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საერთაშორისოდ მიღებული ნორმებიდან. ამასთან, ეს იქნებოდა არა სტაბილიზაციის, არამედ, პირიქით, დესტაბილიზაციის ფაქტორი. სტატუსის წინააღმდეგ ემყარება ყალბ წინამძღვრებს, რომ — აფხაზეთი არის იმ ხალხის ქვეყანა, — და, ამასთანავე, მხოლოდ იმ ხალხის ქვეყანა, — რომელიც თავისთავს უწოდებს „აფხაზს“, ხოლო ქართველები და მათი მაგალითით სხვა ხალხებიც

უწოდებენ „აფხაზს“, და რომ — ქართველები ამ ტერიტორიაზე მოსული ხალხია, რომელმაც ეს ქვეყანა, ამა თუ იმ ფორმით, დაიქვემდებარა და ამჟამად თავისი სახელმწიფოს შიგნით ჰყავს.

სინამდვილეში ქართველი ხალხი ამ ტერიტორიის ერთადერთი ავტონომიური ხალხია, ანუ ის ხალხი, რომელმაც ეს ტერიტორია ხელუხლებელი ტყვეების მდგომარეობიდან განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში გადაიყვანა, ხოლო ქართული ენა ის ერთადერთი ენაა, გარდა ბერძნულსა ყოფილი საბორტო ბერძნული კოლონიების ტერიტორიაზე, რომელზედაც იქ შუა საუკუნეთა ეპიგრაფიკა არსებობს. ეთნონიმს „აფხაზი“ არა აქვს ლინგვისტური კავშირი ეთნონიმთან „აფხაზი“. (იხ. თ. გამყრელიძე) და ტოპონიმთან „აფხაზეთი“, რომელიც ცნობილია VIII საუკუნიდან როგორც ხან დღევანდელი აფხაზეთის, ხან მისი ერთი ნაწილის, ხან მთლიანად დასავლეთი საქართველოს აღმნიშვნელი. ხალხი აფხაზი, ადიღური მოდგმისა, ჩრდილოეთი კავკასიიდან გადმოსახლდა კავკასიონის ქედის სამხრეთით, საქართველოში, ჯერ, სპარსულად, XII საუკუნიდან, ხოლო შემდეგ, მასობრივად, XVI-XVII საუკუნეებში, როცა ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა თურქული ლაშქრობების შედეგად. სახელი „აფხაზი“ ამ იმიგრანტ ადიღურ ტომებს დაერქვა (ქართველების მიერ) იმიტომ, რომ პროვინციას, რომელშიც ისინი დასახლდნენ, „აფხაზეთი“ ერქვა.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ აფხაზეთში რუსების მიერ დანერგილი და აფხაზი („აფხაზი“) მოსახლეობის საკმაოდ ფართო წილის მიერ ფართოდ ატყვევებული ლოზუნგები — „სმერტ გრუზინამ“ და „გრუზინი, ვინ იზ აფხაზი“, რომლებიც განმორცილდა კიდევ იმავე რუსეთის ინიციატივითა და დახმარებით 1992-93 წლებში — ზემოხსენებულ ყალბ ისტორიულ წინამძღვარს ემყარება, სახელდობრ, იმ თეზისს, რომ ქართველები აფხაზეთში მოსული და აფხაზეთის დამკავებელი ხალხია, თუმცა ამ „დაკავების“ ფორმასა და თარიღს, თუნდა ათასწლეულის სიზუსტით, ვერავინ უთითებს.

მეორე ყალბი წინამძღვარი, რომელსაც გაეროს უშიშროების საბჭოში წარმოებული მოლაპარაკებები ემყარება, ისაა, რომ აფხაზეთის ნება იგივეა, რაც აფხაზი („აფხაზი“) მოსახლეობის ნება, ხოლო აფხაზი მოსახლეობის ნება იგივეა, რაც არძინასა და მისი თანამშრომელი ჯგუფის ნება. სინამდვილეში აფხაზი („აფხაზი“) მოსახლეობის (რაგინდარა „ერთსულოვანის“) ნება არაა აფხაზეთში ერთადერთი. გარდა ამ მოსახლეობის ნებისა, რომ აფხაზეთის (საქართველო) განუყოფელია როგორც თავისი ცხოვრების მატერიალურ ბაზას და თავისი ყოველმხრივი პოლიტიკური, კულტურული და ნებისმიერი სხვა სახის თვითრეალიზაციის ასპარეზს, ან და მარადის, რაც საესვითი ბუნებრივი და კანონიერია, არსებობს ამავე ტერიტორიის ავტონომიური ხალხის — ქართველი ხალხის — ამდენადვე ბუნებრივი და კანონიერი ნებაც, რომ ამ ტერიტორიას განიხილავდეს როგორც თავისი ყოველმხრივი ეროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზს დღეს და უსასრულო მომავალში, და ეს ნება მხოლოდ აფხაზეთში მოსახლე ქართველების ნება კი არაა, არამედ მთელი ქართველი ხალხის ნება, რომლისთვისაც ეს ტერიტორია მისი ეთნიკური ტერიტორიის ნაწილია.

გარდა ამისა, ამ ტერიტორიაზე არის მის ყველა კანონიერ მაცხოვრებელთა კოლექტიური (ერთობლივი) ნება, განურჩევლად იმისა, თუ როდის დასახლდა აქ ესა თუ ის პირი და როდემდე აპირებს სახლობას: სახელდობრ, ნება, რომ ჰქონდეს უსაფრთხოება, იყოს ცოცხალი და კეთილდღიანი. ეს სამი ნება ურთიერთიგივეობრივი არაა, მაგრამ მათ შორის არც შეურთებელი წინააღმდეგობა არსებობს. შესაძლებელია მათ შორის არა მხოლოდ კომპრომისი მდინ-

ევა, არამედ მათი ჰარმონიზაციაც, რისი მიღწევის ერთადერთი შესაძლებელი ფორმაც ისაა, რომ აფხაზეთის ხელისუფლების ნება, როგორც არ უნდა იყოს ამ ხელისუფლების შექმნის დემოკრატიული პროცედურა, ასახავდეს ამ სამ ნებას, და რომ, ამგვარად, აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება ფორმირდებოდეს, როგორც ამ ნებათა ტოლქმედი და არა როგორც მოსახლეობის 18 პროცენტის, სახელდობრ, აფხაზების („აფხაზების“) ნება.

აფხაზეთის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, და მისი მოსახლეობის ნების გამოხატველად მხოლოდ ან უპირატესად აფხაზი („აფხაზი“) მოსახლეობის ნების მიწვევა არის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგის ლეგალიზაციის მცდელობა. ნათელია, რომ გენოციდის შედეგის დაკანონებას პრაქტიკა, ან თუნდაც ერთი პრეცედენტი, მოახდენს გენოციდის სტიმიულირებას მთელს მსოფლიოში მრავალ წლით და, შესაძლოა, ათწლეულობით.

თქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი:

ა) არ არსებობს არც სამართლებრივი, არც პოლიტიკური და არც მორალური საფუძველი არც იმისთვის, რომ ქართველი ხალხის ეთნიკური ტერიტორიის ნაწილი — აფხაზეთი — გამოეყოს საქართველოს, როგორც ცალკე სახელმწიფო, და ამით საქართველოს მისი ტერიტორიის ნაწილი წაერთვას, არც იმისთვის, რომ აფხაზეთი საქართველოს დანარჩენ ნაწილთან დაკავშირებული იყოს მხოლოდ ფედერაციის წესით. ფედერაცია გულისხმობს მის (ფედერაციის) სუბიექტებას მიერ ცენტრისათვის იმ უფლებათა რაღაც ნაწილის დელეგირებას, რომლებიც ამ სუბიექტს პირველადი, ანუ „თანდაყოლილი“, ბუნებრივად იმთავითვე მიკუთვნებული არასაქონლური უფლებებია, ცენტრსა კი არა. აფხაზეთის მიწა-წყლის მიმართ, რომელზეც, როგორც ვთქვით, ქართველი ხალხი ავტონომიურად და სახელმწიფოებრივად უწყვეტი ისტორიის მქონეა უძველესი დროიდან 1857 წელს მომხდარი ძალადობით ანექსიამდე რუსეთის მიერ, ქართველი ხალხის ძირული უფლებები ამ ტერიტორიის მიმართ პირველადი და არა ისეთი, რომელიც სხვებთან დელეგირებას საჭიროებს. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ხელში ან ტერიტორიის მიმართ ყველაზე ფუნდამენტური უფლებათა არსებობა, როგორცაა მისი სიმდიდრეთა უფლებებისა და განკარგვის, მისი სახელმწიფო საჭიროებისათვის გამოყენების და ა.შ. უფლებები, არ სჭირდება მათი დელეგირება სხვა სუბიექტს მიერ. რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსს საქართველოს სახელმწიფოს შიგნით, ანუ ისეთ ტერიტორიულ-საქონლურ ფუნქციონირებას, როცა სახელმწიფოებრივ მოწყობას, როცა სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას თავისი პირველადი უფლებების რაღაც ნაწილი დელეგირებული აქვს ავტონომიური ერთეულის ხელისუფლებისათვის, მას აქვს სრული სამართლებრივი, პოლიტიკური და მორალური საფუძველი, სახელდობრ, ის, რომ საქართველოს ამ ნაწილში ცხოვრობს არა ერთი ხალხი, რომელსაც დედამიწაზე სხვა სამშობლო არა აქვს, არამედ ორი ასეთი ხალხი — ქართველები და აფხაზები („აფხაზები“) — და ამ ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე პრობლემების არსებობა განაპირობებს ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმის — ავტონომიის — საჭიროებას.

ბ) აფხაზეთში არსებული მძიმე პრობლემების გადაჭრა გულისხმობს არა მხოლოდ თბილისსა და სოხუმში შორის უფლებამოსილებათა სწორსა და სტაბილურ გამიჯვნას, არამედ, პირველ ყოვლისა, „სოხუმის“ ანუ აფხაზეთის, როგორც მთელის, ნების ფორმირების წესის განსაზღვრასაც. შესაბამისად, პირველსაინსხივად და პირველადი ამოცანაა აფხაზეთის შინაგანი მოწყობის განსაზღვრა, მასში დემოკრატიული პროცესთა რეგულირების უფლებამოსილებათა იმგვარი

გამიჯვნის ჩათვლით, რომელიც გამოიცხადებს ფარულ დემოკრატიულ მეტოქეობას ამ ტერიტორიაზე ან მის რომელსაზე ნაწილში მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შეცვლის მიზნით.

5. აფხაზეთში 1992-93 წლებში წარმოებული ომი იყო და მისი გაგრძელება დღეს არის ქართულ-რუსული და არა ქართულ-აფხაზური („აფხაზური“) ომი. ქართველი მოსახლეობის გენოციდი, რომელიც ახლაც გრძელდება (მხოლოდ გაცილებს რაიონში, სადაც დღანან რუსეთის „სამშვიდობო ძალები“ გაეროს მანდატით, 2000 წლიდან დღემდე მოკლულია 2000 მშვიდობიანი მოსახლე, ქართველი ეროვნებისა, ანუ მთელი დღეს იქ მყოფი მოსახლეობის 3,6 პროცენტი), ორგანიზებულია და ჩატარებულია ძირითადად რუსეთის მიერ. სახელდობრ, რუსეთის მხრიდან უშუალოდ ბრძოლაში მონაწილეობდნენ — რუსეთის სამხედრო მოსამსახურენი, რომელნიც ტექნიკას მართავდნენ — რუსეთის „დათხოვნილი“ სამხედრო მოსამსახურენი, რომელნიც „დაქრავებულებად“ იყვნენ გამოცხადებულნი.

რუსეთის სამხედრო ნაწილები (345-ე ავიასადესანტო პოლკი და სოხუმის ბატალიონი),

რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც მზადდებოდნენ და იარაღდებოდნენ რუსეთში და იგზავნებოდნენ საქართველოში, როგორც „დაქრავებულნი“ (კაზაკები, სხვა რუსები ან არარუსული მოკავშირენი, ადიღელები, ყაბარდოელები, ოსები, მცირე რაოდენობით — ჩეჩნები) — სამხედრო „კონსულტანტებად“ და „ინსტრუქტორებად“ წარმოდგენილი (არაოფიციალურად) რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები.

გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია — ამარაგებდა არძინას ჯგუფს შეიარაღებულ ძალებს შეიარაღებით, საჭურველით, ტყვია-წამლით, სხვა სამხედრო მასალებით, სანავიგო, — აძლევდა მათ სადაზვერვო ინფორმაციას

— თავის საპროპაგანდო აპარატის საშუალებით აწარმოებდა „საპროპაგანდო ომს“ მათ მხარეზე. თუმცა საქართველოს ხელისუფლებას ე. შვედრანდაის მეთაურობით არ გაუკეთებია ოფიციალური განცხადება რუსეთის აგრესიის შესახებ საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხი თვლის, რომ რუსეთის ფედერაცია არის აგრესორი საქართველოს წინააღმდეგ. იგი არ ურიგდება და არ შურუგდება რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ყოფნას აფხაზეთში, არ ცნობს და ვერ ცნობს რუსეთის „ხელშეწყობის“ ფუნქციას აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტში და რუსეთის — ან რომელიმე სხვა მეზობელი ქვეყნის — „სამშვიდობო“ ჯარების დგომას საქართველოში, არ ცნობს აგრეთვე ქართველი პარტიზანების აღიარებას „ტერორისტებად“, რადგანაც პარტიზანული ბრძოლა იმგვარ პირობებში, როცა საქართველოს უცხო ქვეყნის (რუსეთის) აგენტურა მართავს, ქართველი ხალხისთვის ეს ერთადერთი მისაწვდომი საშუალებაა, რათა დაიცვას თავისი თანამემამულეების სიცოცხლე და წინააღმდეგობა გაუწიოს ორგანიზებულ მასობრივ მკვლელობას.

6. რამდენადაც ცნობილია, აფხაზეთის სტატუსის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში ფეგურირებს „არგუმენტ“, რომ, ვინაიდან აფხაზებს („აფხაზებს“) ჩადენილი აქვთ დიდმასშტაბიანი დანაშაული ქართველი ხალხის წინააღმდეგ და, ამდენად, „მოსალოდნელია“ ქართველებმა შურისძიება მოინდომონ, აფხაზებს („აფხაზებს“) უნდა მიეცეთ და დაუკანონდეთ ისეთი შეიარაღებული კანონდეთ ისეთი შეიარაღებული ძალა, რომ ქართველებმა, სურვილის შემთხვევაში, ეს ვერ შეძლონ, — სხვა სიტყვით, აფხაზებს („აფხაზებს“) საქართველოს სახელმწიფოში ყოფნის პირობებში უნდა მიეცეთ და დაუკანონდეთ ისეთი

შეიარაღებული ძალა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დამსჯელი ორგანოებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად იქნება მოწოდებული ეს განზრახვა — თუკი იგი არსებობს — საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, ძირის გამოხორცილა შურისძიების არდგება შეიძლება და უნდა მოხდეს მხოლოდ დამნაშავეთა დასჯით კანონის მიერ, რეალისტური კომპრომისით და წესრიგის დამკვიდრებელი ორგანოების მიერ წარმოებული ქვეყნის კონტროლით, და არა აფხაზეთისათვის („აფხაზებისათვის“) ხელოვნური საბრძოლო უპირატესობის მინიჭებით.

7. აფხაზეთში არსებული შინაგანი კონფლიქტის საბოლოო და სამუდამო დარეგულირების ოპტიმალური გზა:

ა) საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთ მიუცილებელ მიზნად, კონსტიტუციის დონეზე, უნდა იყოს მიჩნეული არა მხოლოდ ყოველი მოქალაქის, მათ შორის აფხაზის („აფხაზის“) სრული თანასწორობა კანონის წინაშე, არამედ, აგრეთვე, აფხაზი („აფხაზი“) ხალხის სრულყოფილი (ეთნიკური) მარადიულყოფის ამოცანა და მისი სრული ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ამოცანაც, რისი გაარანტიაც უნდა ჩადებული იყოს

— აფხაზეთის ადმინისტრაციულ და ტერიტორიულ მოწყობაში, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული კომპაქტური დასახლების ფაქტორის და საშუალებას აძლევს, კანონით დადგენილი ჩამონათვალით, ადგილობრივ ხელისუფლებას, მისი წარმომადგენლობითი არჩევით ორგანოების სახით, აკონტროლოს მიგრაციული პროცესები საქართველოს კანონმდებლობისა და აფხაზეთის ავტონომიის კანონმდებლობის შესაბამისად.

— აფხაზეთის ბუფერულ კანონთმდებლობაში ტერიტორიული და მიზნობრივი კონტროლი.

— აფხაზეთისათვის, როგორც მთელისათვის, და აფხაზეთის შიგნით ტერიტორიული ადმინისტრაციული ერთეულებისათვის, მათი არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოების სახით, დელეგირებული უფლებამოსილებების სწორ განსაზღვრაში კანონის მიერ

ბ) აფხაზეთის, როგორც მთელის, სტატუსი უნდა იყოს ავტონომია: უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების კუთვნილი ფუნქციების კანონით განსაზღვრული ნაწილი დელეგირებული უნდა იყოს მთლიანად აფხაზეთის და აფხაზეთის შემადგენელი ერთეულების არჩევითი ხელისუფლებებისადმი. აფხაზეთის ავტონომია არ უნდა იყოს აფხაზების („აფხაზების“), როგორც აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილის, ავტონომია, არამედ ეს უნდა იყოს აფხაზეთის, როგორც მთელის, ავტონომია. აფხაზეთის, როგორც მთელის, ნების მატარებელია აფხაზეთის დემოკრატიული წესით არჩეული წარმომადგენლობითი უმაღლესი ორგანო. აფხაზეთის როგორც მთელის, უფლებამოსილებები გამოიწვევს საქართველოს, როგორც მთელის, უფლებამოსილებებისაგან (მათ დელეგირებული აქვს ამ უკანასკნელისაგან მის უფლებამოსილებათა კანონით (კონსტიტუციით) დადგენილი ნაწილი) და აფხაზეთის შემადგენელი ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილებებისაგან, რომლებითაც აღჭურვილია ამ ერთეულების არჩევითი ხელისუფლებები, სოფლის საკრებულოთი დანაშაული და ზევით.

გ) გარდა ზემოხსენებული ტერიტორიული სპეციფიკური უფლებამოსილებებისა, აფხაზი („აფხაზი“) ხალხს, ისევე როგორც ქართველ ხალხს და საქართველოში კომპაქტურად ან გაბნეულად მცხოვრებელ ყველა სხვა ეროვნულ (ეთნიკურ) ჯგუფს, ქართველების ჩათვლით, აქვს ფუნქციური ავტონომიის უფლება, ანუ ყველა სახის ორგანიზაციული ერთიანობის შექმნის უფლება ყველა შემთხვევაში და ყველა მიზნით საქართველოს კანონ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

წერილი 5. აშშ სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადება

აშშ რეგულარული სახმელეთო ჯარების (არმიის) და მზადმყოფი რეზერვის ის ახალწვეულები, რომლებსაც მანამდე შეიარაღებულ ძალებში არ უმსახურიათ, რვა კვირის მანძილზე გადიან სახმელეთო მომზადებას ჯარით გვარეობების შემდეგ სასწავლო ცენტრებში: ქვეითი ჯარის ცენტრი და სკოლა — ფორტ-ბენინგი (ჯორჯიის შტატი), ჯავშანსატანკო ჯარების სკოლა — ფორტ-ნოქსი (კენტუკი), სავიწვევ არტილერიის ცენტრი და სკოლა — ფორტ-სიდი (ოკლაჰომა), საინჟინრო ჯარების ცენტრი და სკოლა — ფორტ-ლეონარდ ვუდი (მისური), კავშირგაბმულობის ჯარების ცენტრი და სკოლა — ფორტ-გორდონი (ჯორჯია), სამხედრო დაზვერვის სკოლა — ფორტ-დევენსი (მასაჩუსეტსი), საჰაერო თავდაცვის ცენტრი და სკოლა — ფორტ-ბლისი (ტეხასი), სახმელეთო ჯარების სასწავლო ცენტრები — ფორტ-ჯექსონი (სამხრეთ კაროლინა) და ფორტ-დიქსი (ნუუ ჯერსი).

ახალწვეულთა სამხედრო მომზადებას აწარმოებენ ზოგადი სასწავლო პროგრამების შესაბამისად. მისი ძირითადი მიზანია სახმედრო მოსამსახურეთა მორალური და ფიზიკური მომზადება, მათ მიერ ბრძოლის ველზე მოქმედებისთვის აუცილებელი ცოდნისა და ჩვევების შექმნა და ა.შ. იგი იყოფა სამ პერიოდად.

პირველი პერიოდის განმავლობაში ახალწვეულები ეცნობიან სამხედრო კანონმდებლობისა და სამხედრო დისციპლინის საფუძვლებს, გადიან სამსწავლო და ფიზიკურ მომზადებას, სწავლობენ მასობრივი დაზიანების იარაღსა და მისგან დაცვას, მხედრულ ეტიკეტსა და ფორმის ტანსაცმლის ტარების წესებს.

მეორე პერიოდში მთავარ ყურადღებას უთმობენ საცეცხლე მომზადებას. პირადი შემადგენლობა სწავლობს სროლის თეორიას, იარაღის მატერიალურ ნაწილს და იქნის მასთან მოპყრობის ჩვევებს. ამ პერიოდის ბოლოს მოსწავლეები ასრულებენ ორ საბრძოლო ჩასათვლელ სროლას დღისითა და ღამით.

მესამე პერიოდში ახალწვეულებს ასწავლიან ბრძოლის ველზე მოქმედებისა და მათ მიერ იარაღის გამოყენების ტექნიკას, უტარებენ პრაქტიკულ მეცადინეობას ადგილზე საბრძოლო სროლით.

მთლიანობაში სახმელეთო მომზადების ეტაპის ძირითადი საგნებია: ტექნიკა, საცეცხლე და ფიზიკური მომზადება. პირადი შემადგენლობა სწავლობს სავიწვევ წესდებებსა და დარობებს, დაზვერვის წარმოების ილეთებს, საინჟინრო საქმეს, სამხედრო ტოპოგრაფიას, საინტარულ ჰიგიენასა და პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ეს ეტაპი სრულდება ჩათვლების ჩაბარებით.

ჩათვლების წარმატებით ჩაბარების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეები გადადიან თავიანთი სამხედრო-საალრიცხვო სპეციალობით მომზადების ეტაპზე (გაძლიერებული ერთეული მომზადება), რომელიც ორგანიზებულ ჯართა გვარეობებისა და სამსახურების სასწავლო ცენტრებსა და რგოლებში, აგრეთვე უშუალოდ რეგულარული არმიის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში ორგანიზებულ სასწავლო კურსებზე.

სპეციალობის მიხედვით მო-

მზადების კურსებზე სწავლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შესაბამის სამხედრო-საალრიცხვო სპეციალობაზე და იგი განსხვავებულია ტანკისტების, მოტოკვეთების და ქვეითი ჯარების, მედესანტების, მხვერავების, მეკავშირეების, მესანგრეების, არტილერიისტების, ვერტმფრენების ეკიპაჟების, მეზენოტების, სანიტრების, მძღოლებისა და სხვა სპეციალობებისთვის. გაძლიერებული ერთეული მომზადების წარმატებით დასრულების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეებს გზავნიან თავიანთ ნაწილებსა და ქვედანაყოფებში შემდგომი სამსახურის გასაველეად. მათგან ერთი ნაწილი მიდის რეგულარულ სახმელეთო ჯარებში, დანარჩენები — მზადმყოფი რეზერვის (არმიის ეროვნული გვარდია და არმიის რეზერვი) ერთეულებში. რეგულარულ ჯარებში საბრძოლო მომზადება სწავლობს უფრო ინტენსიურად სარეზერვო კომპონენტებთან შედარებით. ჩვენ პირველ რიგში შევეცდებით გადმოვცეთ სწორედ რეგულარული სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადება.

აშშ რეგულარული არმიის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადებას გეგმავენ მთელი წლისთვის 1 ივლისიდან მომავალი წლის 30 ივნისის ჩათვლით. სასწავლო წელი იყოფა ოთხ სამთვიან პერიოდად. თითოეულ პერიოდში საბრძოლო მომზადებას ეთმობა 60 დღე (480 სთ), თვეში — 20 (160), კვირაში — 5 (40) და დღეში 8 სთ. შაბათობით რეგულარულ ჯარებში მეცადინეობებს უთმობენ 4 სთ-ს, რაც ძირითადად იხარჯება იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მომსახურებაზე. სპორტულ ან სამედიცინო ღონისძიებებზე. მთელი წლის განმავლობაში აშშ რეგულარულ არმიის საბრძოლო მომზადება იკავებს სულ 240 დღეს (1920 სთ).

ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების აზრით, სამხედრო მომზადებას უნდა ჰქონდეს პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული, საშეჯიბრო და დაძაბული ხასიათი, იგი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ეფექტურობით. იგი უნდა წარმოებდეს ქვეყნის სამხედრო დოქტრინაში ჩამოყალიბებული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს პირადი შემადგენლობის სწავლების პროცესის საფუძველს. „ასწავლე ის, რაც აუცილებელია ომში“ — ეს მოთხოვნა გამომისატება მომზადების მსვლელობისას აქცენტის გაკეთებაში სწავლების პრაქტიკულ ფორმებზე. ამასთან, ქმნიან რეალურთან მიახლოებულ ვითარებას, შეძლებისდაგვარად სრულად ითვალისწინებენ პრობლემებს, რომლებშიც სამხედრო მოსამსახურეებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და ჩვევები.

ნორმალური სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის საჭიროა ყოველმხრივი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. ამ მიზნით მეცადინეობებს ატარებენ იმ მატერიალური ნაწილის საფუძველზე, რომლის გამოყენებაც ნაგარაუდევია შესაძლო საბრძოლო მოქმედებებში. ამასთან, ფართოდ იყენებენ მრავალფუნქციურ ტრენაჟორებს, იმიტატორებსა და სხვა.

პირად შემადგენლობას უნერგავენ და უფითარებენ საკუთარ ძალებში დარწმუნების, ინიციატივის გამოჩენის, ახლის ძიების თვისებებს, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს მხოლოდ კეთილსინდისიერ შემსრულებელთა მომზადების არაეფექტური პრაქ-

ტიკა. ცოდნისა და ჩვევების მიღწეულ დონეზე შენარჩუნებისთვის ფართოდ იყენებენ სამხედრო სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების მრავალნაირ კურსებსა და მათი ჩატარების ციკლურობას (პერმანენტულობას).

აშშ არმიის სწავლების პროცესისადმი წაყენებული ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების საფუძველზე როგორც ახალწვეულთა კურსებზე, ისე რეგულარული არმიისა და მზადმყოფი რეზერვის შენარჩუნებაში, ნაწილებსა და ქვედანაყოფებში შემუშავებულია და პირადი შემადგენლობის მომზადებაში გამოყენებულია, როგორც საფუძველი, შემდეგი ექვსი ძირითადი პრინციპი: მოტივაციის (დაინტერესებულობის), მიზანმიმართულების (რაციონალიზმის), პრაქტიკის, რეალიზმის, მოსწავლის გამოცდილებაზე დაყრდნობისა და მნიშვნელოვნებისა.

მოტივაციის პრინციპი ითვალისწინებს სწავლისადმი სამხედრო მოსამსახურის ინტერესის განვითარებას, რისთვისაც ცდილობენ ყოველთვის დაანახონ მოსწავლე სასწავლო კურსიდან ან კონკრეტული მეცადინეობიდან მომდინარე სარგებლობა. პროფესიული ცოდნის სრულყოფის სტიმულს წარმოადგენს კარგი სწავლის შემთხვევაში სამსახურში რიგგარეშე დაწინაურების შესაძლებლობა, აგრეთვე მომიჯნავე სამხედრო-საალრიცხვო

ბების მსვლელობისას. ამერიკელი სამხედრო ფსიქოლოგების აზრით, არმიის ხელმძღვანელობამ პირადი შემადგენლობა უნდა მიაჩვიოს ცეცხლისა და სიკვდილის ატმოსფეროს, მიაღწიოს იმას, რომ ცეცხლის, კვამლისა და განგაშის ვითარებაში ჯარისკაცები თავს ისე გრძობდნენ, როგორც ჩვეულებრივ პირობებში, ხოლო დასმულ ამოცანას ასრულებდნენ რეალური საშიშროების არსებობის მშვიდრეგებით, პანიკისა და შიშის გრძობის გადალახვით.

მოსწავლის გამოცდილებაზე დაყრდნობის პრინციპი გულისხმობს მეცადინეობების ისე ჩატარებას, რომ ყოველი ახალი მასალა უკავშირდებოდეს უკვე გავლილს, ხოლო მისი გადმოცემა აუცილებლად იწყებოდეს გველით თემის ძირითადი დებულების განმეორებით. რეკომენდირებულია აგრეთვე, რომ სწავლების პროცესში იყენებდნენ სამხედრო მოსამსახურეების მიერ ადრე მიღებულ უნარ-ჩვევებს.

მნიშვნელოვნების პრინციპი ითვალისწინებს სწავლებისა და აღზრდის ერთიანობას, განსაკუთრებულ პირად შემადგენლობის სწავლებისა და იდეოლოგიური აღზრდის პროცესის უწყვეტობას. ითვლება, რომ, თეორიული და პრაქტიკული სამხედრო ცოდნის გარდა, სამხედრო მოსამსახურეებს უნდა ჩამოუყალიბონ მაღალი საბრძო-

ტექნიკური სწავლებები	სწავლებების რაოდენობა წელიწადში	სწავლებების ხანგრძლივობა, დღეღამე
საათულო	დაახლოებით 10	0,5
საოცეულო	4 და მეტი	1
სასაფელო	8	3
საბატალიონო	4	3-4
საბრძალო	2	6-8
სადივიზიო	1	8-10

სპეციალობის ათვისების ან საკლასო კვალიფიკაციის ამაღლებისა და მატებითი ფულადი ანაზღაურების დანიშვნა.

სამხედრო მოსამსახურის სამსახურისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში იყენებენ მოტივაციის პრინციპის იძულებით საშუალებებსაც — სხვადასხვანაირ სადისციპლინო სასჯელებსა და ფულად ჯარიმებს.

მიზანმიმართულობის პრინციპი მდგომარეობს მოსწავლეთათვის კონკრეტული ამოცანების დასამაში, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მომზადების გარკვეულ ეტაპზე. მათი შესრულება განაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეთა მომზადების პროფესიულ დონეს, რომელსაც პრაქტიკულად საკვალიფიკაციო გამოცდებზე ადასტურებენ.

პრაქტიკის პრინციპი გულისხმობს მრავალჯერ განმეორებადი ფიზიკური და გონებრივი ვარჯიშების მეშვეობით მოსწავლეების მიერ მიღებული ჩვევების განმტკიცებასა და ავტომატიზამდე მიყვანას. ამასთანავე თვლიან, რომ სწავლების მაღალი ეფექტურობის მისაღწევად ვარჯიშების ხანგრძლივობა და რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს, რათა არ გამოიწვიოს სამხედრო მოსამსახურეთა გადაღლა და მათში მოქმედებებისადმი აპათიის გაჩენა.

რეალიზმის პრინციპი დაიყვანება ჯარების სწავლებაზე საბრძოლოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში, პირობითობის სრული ან თითქმის სრული არარსებობით, რეგულირებული რისკის ელემენტებზე, კონკრეტული სიტუაციების შექმნითა და ვითარების დრამატიზმით, რომელშიც შესაძლოა აღმოჩნდნენ სამხედრო მოსამსახურეები საბრძოლო მოქმედე-

დაცვაში ან შეტევაში გადასვლის მიზნით. ამ დროს უნდა ვლინდებოდეს ჯარების აქტიურობის უფრო მაღალი ხარისხი. შესაბამისად, ამ საკითხების დამუშავებაზე ხარჯავენ ტექნიკური მომზადებისთვის გამოყოფილი დროის 30%-მდე.

სასწავლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად აერომობილურ მომზადებას ცივი ომის მიწურულს აშშ არმიის ატარებდნენ ნებისმიერი ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტისას. ეს განპირობებული იყო 1980-იანი წლების დასაწყისში მიღებული აშშ სახმელეთო ჯარების გამოყენების ოპერაციულ-ტექნიკური კონცეფციის „საჰაერო-სახმელეთო ოპერაცია (ბრძოლა)“ შესაბამისად, რომლის ძირითადი დებულებები დღესაც ძალაშია. დღესდღეობით, ძლიერი მონინაალმდეგის არარსებობის პირობებში საჰაერო-სადესანტო და აერომობილურ ოპერაციებს აშშ არმიის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, აერომობილური მომზადების დროს სამხედრო მოსამსახურეები სწავლობენ შეიარაღებაში არსებული ვერტმფრენებისა და სატრანსპორტო თვითმფრინავების ტექნიკურ-ტექნიკურ მასა-სიათებლებს, უსაფრთხოების ზომებს, ტექნიკისა და ტრანსპორტირებისთვის მომზადების წესებს, ვერტმფრენებიდან გადასხმისა (ბაგრიტით, კიბეებით და ა.შ.) და ჰაეროდან ცეცხლის დაშენის ხერხებს. საბრძოლო მომზადების პროცესში პირადი შემადგენლობა, ძირითადად ოცეულიდან ბატალიონამდე, სწავლობს აერომობილურ მოქმედებებს ბრძოლის პრაქტიკულად ყველა სახეობაში, განსაკუთრებულ პირობებში (ღამით, დასახლებულ პუნქტებში, თებში, უდაბნოში და ა.შ.) ბრძოლების ჩათვლით.

ტანკსანიანალმდეგო მომზადება გულისხმობს ბრძოლის ველზე მოქმედებულ მიზნებთან საბრძოლო მოქმედებებისათვის პირადი შემადგენლობის მომზადებას. სწავლების მსვლელობისას სამხედრო მოსამსახურეები ეცნობიან სავარაუდო მონინაალმდეგის საბრძოლო ტექნიკის ნიშნებსა და მათ მოწყვლავად იღებენ, სწავლობენ თავიანთი ქვედანაყოფების ტანკსანიანალმდეგო შესაძლებლობებსა და მათგან ცეცხლის წარმოებას, საინჟინრო ტანკსანიანალმდეგო საშუალებებს და ადგილებზე მათ პრაქტიკულად დაყენებას, გადიან განსაკუთრებულ პირობებში ტანკებთან ბრძოლისთვის მზადებას და ა.შ.

ამერიკული სარდლობა თვლის, რომ ცეცხლის წარმოების ეფექტურობა ხშირად უფრო მეტ გავლენას ახდენს ბრძოლის მსვლელობასა და შედეგზე, ვიდრე ჯარების რაოდენობა და მათი ალჭურვილობა. შესაბამისად, დიდ ყურადღებას უთმობენ ნაწილების და ქვედანაყოფების საცეცხლე მომზადებას. მისი მსვლელობისას პირადი შემადგენლობა სწავლობს არა მხოლოდ თავის იარაღს, არამედ ოცეულსა და ასეულში არსებულ შეიარაღებებსაც, ეუფლებს საბრძოლო პირობებში მათი გამოყენების ილეთებს და სხვა.

ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები თვლიან, რომ თითოეული ჯარისკაცი ერთნაირ ოსტატობით უნდა ფლობდეს როგორც საიერიშო შაშხანას M1CA2, ისე 7,62 და 5,56 მმ ყალიბის ტყვი ამფრქვევებს (M60 და M249), ყუმბარტყორცვებს, ცეცხლსატყორცს, შეეძლოს ტანკსანიანალმდეგო სარაკეტო კომპლექსები-

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

მე-6 გვერდიდან

სა („თოუ“, „დრაკონი“) და გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსების („სტინგერი“) გამოყენება.

კოლექტიურ საცეცხლე მომზადებას ატარებენ საცეცხლე გათვლის, საბრძოლო მანქანის ეკიპაჟის, საცეცხლე ჯგუფის, ათეულის, ოცეულის, ასეულისა და ბატალიონის შემადგენლობაში — ბრძოლის ყველა სახეობაში, მათ შორის განსაკუთრებულ პირობებში, დღისითა და ღამით. მეცადინეობების მსვლელობისას სამხედრო მოსამსახურეებს ასწავლიან მჭიდრო საცეცხლე ურთიერთმოქმედებას, სროლისა და მანევრის შესაბამისად, მიზნების დაზვერვას, მიზანჩვენებას, ცეცხლის კორექტირებას.

საბრძოლო მომზადების ისეთ სახეობებში, როგორცაა სადაზვერეო, საინჟინრო, სამწყობრო, სამედიცინო, კავშირგაბმულობაში, მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვასა და სამხედრო ტროპოგრაფიაში, აგრეთვე საბრძოლო მანქანების ტარებაში აუცილებელ ცოდნას იძენენ უმთავრესად საბრძოლო მომზადების ძირითადი სახეობების კო-

მპლექსური ამოცანების გადაწყვეტისას.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფიზიკურ მომზადებას, რომელსაც ამერიკულ არმიაში განიხილვენ პირადი შემადგენლობის სწავლებისა და აღზრდის შემადგენელ ნაწილად. სამხედრო მოსამსახურეთა სწავლებისას გამოყენებულ ფიზიკურ ვარჯიშებს ყოფენ ექვს ძირითად ჯგუფად: ზოგადგამაძლიერებელად, დამატებითად, დაბრკოლებების გადალახვად, ცურვად, ათლეტიკად და მასობრივ თამაშებად.

აშშ სახმელეთო ჯარებში პირადი შემადგენლობის სწავლების ფორმებად მიღებულია თეორიული და პრაქტიკული, ინდივიდუალური და კოლექტიური მეცადინეობები. თეორიულ მეცადინეობებს, როგორც წესი, ატარებენ გაკვეთილის სახით, რომლის დროსაც მისწავლევებამდე მიაქვთ აუცილებელი ინფორმაცია და მათ მკაფიო წარმოდგენას უქმნიან საბრძოლო ვითარებასა და იმ ხერხებზე, რომელთა გამოყენებაც მათ მოუწევთ. თეორიულ მეცადინეობებს პირადი შემადგენლობის მომზადების ზოგად სისტემაში მეტად მცირე დროს უთმობენ.

პრაქტიკული საქმიანობა წარმოადგენს აშშ არმიის, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს სახმელეთო ჯარების მომზადების, ძირითად ნაწილს.

პრაქტიკული მეცადინეობები მიზნად ისახავს სამხედრო მოსამსახურეების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე მათი შემდგომი სამსახურისთვის აუცილებელი ჩვევებისა და ოსტატობის გამომუშავებას, აგრეთვე ქვედანაყოფებისა და ნაწილების საბრძოლო შეთანხმებას. პრაქტიკული მეცადინეობები ადგილის მაკეტზე (მინიატურულ პოლიგონზე სასწავლო-სავარჯიშო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით), ტაქტიკურ-სამწყობრო და ტაქტიკური მეცადინეობები (პრაქტიკულ ადგილზე), საჯარისო სწავლებები და სროლები.

ტაქტიკურ-სამწყობრო მეცადინეობები თავისი შემადგენლობით კოლექტიური და მათში მონაწილე მხარეების რაოდენობის მიხედვით იყოფა დამოუკიდებელ ან ერთობლივ, ცალმხრივ ან ორმხრივ სწავლებებად (სპორტული თამაშების

ტიპის მიხედვით). ტაქტიკურ-სამწყობრო მეცადინეობები არის კომპლექსური, სპეციალური და შესამონშებელი.

ტაქტიკური სწავლებები მრავალნაირია და ითვლება პირადი შემადგენლობის მომზადების მთავარ ფორმად. მასშტაბების მიხედვით ტაქტიკური სწავლებები იყოფა საათეულო, საოცეულო, საასეულო, საბატალიონო, საბრიგადო და სადივიზიო სწავლებებად. მათში მონაწილე მხარეების მიხედვით ისინი შესაძლოა იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან ცალმხრივი მოქმედი მონაწილედ. უკანასკნელი ტიპის სწავლებებში მოსწავლე მხარე სასწავლო-საბრძოლო ამოცანებს წყვეტს თავისი ჯარების ორგანიზაციის და ტაქტიკის შესაბამისად, ხოლო მეორე მხარის მოქმედებებს აღნიშნავს სავარაუდო მონინააღმდეგის ანალოგიური მაჩვენებლების საფუძველზე განსწავლული, მისი იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი, მის ფორმში გამონყობილი ნაწილები და ქვედანაყოფები. სახელდობრ, 1980-იან წლებში აშშ სახმელეთო ჯარების ეროვნულ სასწავლო ცენტრში ფორტი-ბენინ-ში (კალიფორნიის

შტატი) მონინააღმდეგის მხარეს ამ სწავლებებში წარმოადგენდა ამ მიზნისთვის სპეციალურად შექმნილი მოტომსროლელი პოლკი (საბჭოთა ჯარის ანალოგიურად).

ტაქტიკურ სწავლებებს შესაძლოა ატარებდნენ სროლის გარეშე, საბრძოლო სროლით ან სროლისა და დაზიანების ლაზერული იმიტატორების გამოყენებით.

დაინშულების მიხედვით ტაქტიკურ სწავლებებს ყოფენ დამოუკიდებელ, ერთობლივ, კომპლექსურ, შესამონშებელ, საჩვენებელ და საცდელ სწავლებებად. მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად, ერთობლივ ტაქტიკურ სწავლებას წინ უნდა უძღოდეს უფრო წვრილი ქვედანაყოფების (ათეულო, ოცეულო) რამდენიმე დამოუკიდებელი სწავლება, რომელთა დროსაც ამ ქვედანაყოფებს და მათ პირად შემადგენლობას ამზადებენ უფრო რთული მოქმედებებისთვის. დამოუკიდებელი ტაქტიკურ სწავლებებს ჩვეულებრივ ატარებენ გაძლიერების საშუალებების გარეშე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით სასარგებლო ზოგიერთი პროდუქტის სამკურნალო თვისებები

ბაბუაწვერას ფესვის ყავა

სამკურნალო ეფექტი: შესანიშნავი საშუალებაა გულის და ნერვული სისტემის დაავადების, ართროზის, რევმატიზმის დროს.

მომზადების წესი: ბაბუაწვერას კარგად გარეცხილი და გამოშრული, მცირე ნაჭრებად დაჭრილი ფესვები კარგად მოეხალათ ტაფაზე, დაეჭკვით ყავის საფუძველი. მოეხაროთ ისე, როგორც ყავა (ავილოთ 1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე), გაეაჩერეთ ათი წუთი და გავეწურეთ.

დავლით თაფლთან და ლიმონთან ერთად.

კუნელიის სასამელი

სამკურნალო ეფექტი: ხსნის გულის არეში ტკივილისა და სიმძიმის შეგრძნებას, ამგვრებს გულის კუნთს, ამშვიდებს ნერვულ სისტემას. სტენოკარდიის, გულის მუშაობის მკვეთრი დარღვევის დროს საიმედო დაშვებულ საშუალებაა. ახდენს ანტი-სკლეროზულ და წნევისდამწვე მოქმედებას.

მომზადების წესი: კუნელიის 25-30 ნაყოფს საღამოს ჩაყვრით თერმოსში, დაეასხამთ 1 ლ მდულარე წყალს და გაეაჩერებთ დღეობა. დილით ნაყენი მზადაა.

მიღება: კუნელიის ნაყენი მიღება შეიძლება დღეობის გარეშე, როგორც ჩაი. თერმოსში ნაყენის ჩამთავრების კვალბაზე თერმოსში ხელახლა უნდა ჩავამატოთ მდულარე წყალი — ასე შეიძლება 4-6 დღის განმავლობაში (ნაყენი ყოველ დღე ხდება სულ უფრო კონცენტრირებული და გემრიელი).

ლიმონის, ფორთხლის და თაფლის ნარკვი

სამკურნალო ეფექტი: წმენდს სისხლძარღვებს და ხელს უწყობს ორგანიზმს არტერიული წნევის შენარჩუნებაში, აქედან გამომდინარე: სტენოკარდიის, ინფარქტების, თავის ტვინში სისხლჩაქცევების — ინსულტის განვითარების შესაძლებლობას სპობს.

მომზადების წესი: 2 ცალი საშუალო ზომის ლიმონი და 2 ცალი ფორთხალი თავის კანიანად დავეჭრათ ნაწილებად, მოვაცილოთ თესვები და გავატაროთ ხორცსაკეპში. გატარებულ მასას შევურიოთ 2 სუფრის კოვზი

თაფლი. ნარევი გვაჩეროთ მინის ქილაში 1 დღე ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ კი მოვათავსოთ მაცივარში.

მიღება: 2-3 ჩაის კოვზი დღეში ჩაისთან ერთად ან ჭამამდე 30 წუთით ადრე.

სოიო

დახასიათება: სოიოს მარცვალი შეიცავს 40%-მდე ადვილადსათვისებელ ცილებს, 22%-მდე ცხიმებს, ბევრ ვიტამინებს და მინერალურ მარილებს. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ის შეიცავს ლეციტინს — ფოსფორით მდიდარ ნივთიერებას.

ღვიძლი ქოლესტერინის გარდა გამოიმუშავებს ლეციტინსაც. ლეციტინი ნაღვლის ბუშტში შეერევა ნაღველს და ხვდება წერილ ნაწლავში, წარმოადგენს რა მძლავრ, ცხიმების დამშლელ აგენტს.

სამკურნალო ეფექტი: ის ადამიანები, რომლებიც სოიოს იყენებენ საკვებად, იშვიათად ავადდებიან „სისხლძარღვოვანი“ პათოლოგიებით. მაგალითად, ჩინელთა კვებაში სოიოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თრომბოზები, სისხლძარღვთა დეგენერაციული დაავადებები მათში თითქმის არ გვხვდება, სისხლში ქოლესტერინის დონე უმრავლეს შემთხვევებში ნორმის ფარგლებშია.

მომზადების წესი: სოიოს მარცვლები მოხარშვამდე უნდა დავალოთ ღამის განმავლობაში (სასურველია ანადუღარ წყალში), შემდეგ მოეხაროთ 5-6 საათი ჩვეულებრივ ჭურჭელში.

სოიოს „რძე“ — ნახევარი ჩაის კოვზი სოიოს ფქვილი გაეხსნათ ნახევარ ჭიქა წყალში. თუ მის მოსამზადებლად გამოიყენებთ სოიოს მარცვლებს, მაშინ 1 ჩაის ჭიქა სოიოს ვერით 5 ჩაის ჭიქა მდულარე წყალში.

სიმინდის ზეთი

სამკურნალო ეფექტი: სიმინდის ზეთი მზადდება მწიფე სიმინდის მარცვლების ჩანასახისგან (მარცვლის ყველაზე „ცოცხალი“ ნაწილი). ეს არის ორგანიზმისთვის ადვილადსათვისებელი და აუცილებელი უჯერი მთავების წყარო. (სუფრის კოვზის მიღება დღეში 2-ჯერ (საუზმის და საშხრის წინ) 1 თვის განმავლობაში ორგანიზმს იცავს მრავალი დაავადებისგან (ასთმა, შაკიკი, კანის დაავადებები და ა.შ.). თუ მას

მივიღებთ დღეში 75 გრამამდე, იგი დაბლა სწევს სისხლში ქოლესტერინის დონეს და წარმოადგენს ერთ-ერთ მცირერიცხოვან ეფექტურ საშუალებებს ათეროსკლეროზის წინააღმდეგ.

საკვები პროდუქტები, რომელთა მიღებას სხვადასხვა დაავადების გამომწვევა შეუძლიათ

იმისათვის, რომ ჯანმრთელი ვიყო და სხვადასხვა დაავადება თავიდან ავიცილოთ, საჭიროა გამოვიცხოთ ან თუნდაც მნიშვნელოვნად შევამციროთ შემდეგი სახის პროდუქტების მიღება: რაფინირებული შაქარი და ყველა ის პროდუქტი, რომელიც ამ შაქარზე მზადდება;

- ცხარე სანელებლები;
- მმარი;
- მდოგვი (სუფრის);
- ლიმონმთავა;
- სუფრის მარილი;
- შებოლილი ნაწარმი;
- ძეხვი (ყველა სახის);
- ცხიმში შემწვარი პროდუქტები;
- რაფინირებული ზეთი;
- მარგარინი;
- ყავა;
- კაკაო;
- შოკოლადი და ტკბილეულობა „სნიკერსის“, „მარის“ ტიპის;
- შავი ჩაი;
- „კოკა-კოლა“, „პეპსი-კოლა“, „სპრაიტ“, „ფანტა“;

ალკოჰოლური სასმელები (ჭარბი მოხმარება);

თეთრი ფქვილის ნაწარმი;

კანფები (ყველა სახის, განსაკუთრებით კარამელი);

კონსერვები და კონსერვირებული პროდუქტები;

შედლებული და ფხენილის რძე.

დავახასიათოთ ზემოთ მოყვანილ საში მყოფი ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტები:

1) რაფინირებული შაქარი და ყველა ის პროდუქტი, რომელიც ამ შაქრის საფუძველზე მზადდება. მანებლობის დასაბუთება: შაქარს ღებულობენ ან შაქრის ლერწმისგან ან ჭარხლისგან. ბოლო სტადიაზე შაქარს გულმოდგინედ წმენდენ, აკრისტალებენ და ძვლის ნახშირზე გაფილტრებენ. მიღებული მაღალგაწ-

მენილი პროდუქტი არ შეიცავს არც ვიტამინებს, არც მინერალურ ნივთიერებებს, არც სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. რა სარგებელი შეიძლება მიიტანოს ისეთმა პროდუქტმა, რომელშიც თუნდაც ერთი ვიტამინიც კი არ არის? არსებობს მეორე პრობლემა: იმისათვის, რომ ისეთი მაღალგაწმენილი პროდუქტი როგორც შაქარი, ორგანიზმს ათვისოს, საჭიროა შაქარს შეუერთდეს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც „დაეხმარება“ მას გააღწიოს ნაწლავის კედლებში, შემდეგ კი სისხლში მივიდეს იქ, სადაც ის საჭიროა. ჩვეულებრივი შაქარი შეიცავს გლუკოზას, ფრუქტოზას და საქაროზას. გლუკოზა და ფრუქტოზა აუცილებელია ორგანიზმისათვის. საქაროზას ათვისება კი მაშინა შესაძლებელია, როცა მას კალციუმის ნაერთები „დაეხმარება“. რაფინირებული შაქარი არანაირ მინერალურ ნივთიერებას არ შეიცავს, ე.ი. არ შეიცავს კალციუმსაც. ამ კალციუმს კი შაქარი „ართმევს“ კბილებს, ძვლებს, სისხლს. ვითარდება კალციუმის ნაკლებობასთან დაკავშირებული მოვლენები. დამტკიცებულია, რომ რაფინირებული შაქარი ხელს უწყობს სისხლში შარდმთავას მომატებას, ეს კი საბოლოო ჯამში იწვევს ათეროსკლეროზს, გულის იშემიურ დაავადებას, ჰიპერტონიას, პოდაგრას...

სრულიად აბსურდულია მოსაზრება, რომ თითქმის რაფინირებული შაქარი აუცილებელია „ტვინის კვებისათვის“, არის სკლეროზისაგან თავდასაცავი საშუალება. ჩვენ პირველ რიგში გლუკოზა და ფრუქტოზა გვეჭირდება, მათ გარეშე ორგანიზმი მართლა ვერ გაძლებს. ვანა ცოტაა ის თაფლი, ტკბილ ზღოში? დღეში სულ 2-3 ჩაის კოვზი თაფლის მიღება საკმარისია, რომ ორგანიზმის მოთხოვნილება შაქარზე სრულიად დაკმაყოფილოთ, ორგანიზმს ბუნებრივი შაქარი სჭირდება და არა რაფინირებული, გასუფთავებული, „მკვდარი“ პროდუქტი.

როგორ ვაქციოთ რაფინირებული „შაქარი-მკვლელი“ სუფრის და სასარგებლო ხილის შაქარად?

რადგანაც რაფინირებული შაქრის მთელი „უბედურება“ მასში შემავალი საქაროზას ათვისებასთან ყოფილა დაკავშირებული, საჭიროა ამ საქაროზას დაშლა გლუკოზად და ფრუქ-

ტოზად, რაც ძალზე მარტივად ხდება. მეთოდი №1 (კადემიკოს ა. იოფეს მეთოდი)

მინის ან ემალის ჭურჭელში მოვითავსოთ 750 გ შაქრის ფხენილი, 200 გ წყალი და 200 გ ნატურალური თაფლი. 8 დღის განმავლობაში ვურიოთ ხის კოვზით, 3-ჯერ დღეში.

მიღება: ვინმართ როგორც შაქარი. ნორმა 4-6 ჩაის კოვზამდე დღეში.

მეთოდი №2

ქვაში ვყრით შაქარს, ვასხამთ ყოველ კილოგრამზე 1 ჩაის ჭიქა წყალს და მოვურევთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. ამის შემდეგ ქვაში ჩავასხამთ 200-300 გ მდულარე წყალს და ნელ ცვეხლზე 40 წუთის განმავლობაში მივიყვანთ შესქელებამდე. ხსნარში შეიძლება ფორთხლის ან ლიმონის ქერქის დამატება.

მეთოდი №3

1 კგ შაქარი მოვითავსოთ ქვაში, დავასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდულარე წყალი, დავეუცადოთ, სანამ შაქარი ცოტათი არ გაიხსნება. ქვაში დავდგათ ნელ ცვეხლზე და შაქარი ვხარშოთ 30 წუთის განმავლობაში დუღილის დაწყების მომენტიდან. მუდმივად მოვხალათ წარმოქმნილი ქაფი. ჩავეჭრათ რგოლებად თესვაცალი ლიმონი ან ფორთხალი სიროფში და ვხარშოთ 10 წუთი. შემდეგ ქვაში გადავდგათ ცვეხლიდან, გავაცივოთ და გადავიტანოთ სხვა ჭურჭელში.

2) ცხარე სანელებლები, მმარი, მდოგვი (სუფრის), ლიმონმთავა.

დასაბუთება: ცხარე სანელებლები წვევენ კუჭის ნახ გარსს. ხოლო მმარის თუნდაც უმნიშვნელო დოზები ნერწყვში შემავალი სახამებლის დამშლელი ფერმენტების მოქმედებას წვევებენ. ამის გამო პირის ღრუში სახამებლის დაშლა არ ხდება, რასაც მოჰყვება საჭმლის მომწელებელი სისტემის ყველა ორგანოს დამატებით დატვირთვა და მათი მწყობრიდან გამოყვანა. გარდა ამისა მოხვდება რა კუჭში, მმარი აფერხებს კუჭის წვენის გამოყოფას.

მდოგვიც ვეულისხმობთ სუფრის მდოგვს, რომლის მოსამზადებლად იხმარება მმარი, მარილი, შაქარი. ხოლო მდოგვის მარცვლები უნდა გამოვიყენოთ მინიმალური რაოდენობით.

(გაგრძელება იქნება)

რა ელის სამების ტაძარს?

ახალი ზარის დამზადების დასრულების შემდეგ გერმანიიდან ხელახლა ჩამოტანისა.

1995 წლიდან, არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის პროექტით ქ. თბილისში, ელიას მთაზე (ავლაბარში) შენდება მსოფლიო მასშტაბით უნიკალური, სიმაღლით 67 მეტრი, საეკლესიო ნაგებობა — წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, რომლის მშენებლობას ხელმძღვანელობს ამავე სახელობის ფონდი მისი დირექტორის, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბატონ ირაკლი ანდროაძის თაოსნობით და რომლის მშენებლობის ძირითადი დამფინანსებელი გახლავთ საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილას მკვიდრი, ქართველი კაცი, მოსკოველი ბიზნესმენი — ბატონი ბიძინა ივანაშვილი.

მართლაც დიდებული საქმე კეთდება, რადგან იმ თავადვეა გამიზნული, რომ მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ეს წმიდა ტაძარი იყოს სიმბოლო საქართველოს მართლმადიდებლური სარწმუნოების ძლიერებისა და დიდებისა.

წინანდობლივია, რომ ტაძრის მთლიანი სხეული მისი საძირკვიდან გუმბათის ჩათვლით აგებულია მონოლითური რკინა-ბეტონისაგან. თავად ამ მასალის — ბეტონის სიმტკიცე უდავოა და ეჭვს არ იწვევს. მაგრამ მისი ხანგრძლივობა?

როგორც ცნობილია, ცემენტი გამოგონილია 1825 წელს პეტერბურგში ვინმე ჭელიუვის (საგულისხმოა ჭელიძის) მიერ, და მისგან აშენებული ნაგებობაც ხანდაზმულობით 178 წლისა უნდა იყოს, როგორც ერთ-ერთი პირველი ნიმუში. მას შემდეგ მიმდინარეობს მისი სიმტკიცის გაუმჯობესება, მაგრამ მის ხანგრძლივობის პროგნოზის გაკეთებას ვერაფერს ვერ ვხედავს. თეორიულად ეს ვადა 150-200 წელს თუ შეადგენს. როგორც ცნობილია, დედამი-

წაზე დღემდე შენარჩუნდნენ ბაქტერიები, რომლებიც ანადგურებენ, ძნელად წარმოსადგენ შორეულ წარსულში, კოსმოსში ზეახალ ვარსკვლავთა აალების შედეგად წარმოებულ ნუკლეოსინთეზის (წყალბადისაგან მძიმე ელემენტების წარმოქმნის) პროცესის მიმდინარეობისას წარმოქმნილ და შემდეგ დროთა განმავლობაში ამ მსურველ მასიდან კოსმიურ სხეულთა (მათ შორის ჩვენი დედამიწის წარმოშობის შემდეგ მისი პირველადი გარსის სახით ჩამოყალიბებულ და გაცივებულ ბაზალტის, გრანიტისა და სხვა შედარებით უფრო სუსტი ქვის) მასივებს. როგორც მეცნიერებამ დაამტკიცა, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ხუთიოთხნახევარი მილიარდი წლის წინათ გაცივებული, გაქვავებული დედამიწის ზედაპირის თხელი ნაწილი ჩვეულებრივ ნადავად — მიწად იქცა. ეს ბაქტერიები დღესაც აგრძელებენ თავის გულმოდგინე საქმიანობას და ანადგურებენ მათ შორის ცემენტის მჭიდრს კრისტალბაზა, რომელიც, როგორც ვიცით, წარმოიქმნებიან ცემენტისა და წყლის ცივ მდგომარეობაში არევის შედეგად, ანუ სამუშაო წლის პერიოდში დაახლოებით (-15)დან (+35) გრადუსამდე ცელსიუსით ტემპერატურისას. ამ შეუქცევადი პროცესის დასრულებისას ნებისმიერი მაღალმარკირებული ცემენტისაგან დამზადებული რკინა-ბეტონის კონსტრუქცია სულ ასიასორმოცდაათი წლის დამლევს ქვიშის, ლორღისა და არმატურის გროვად გვესახება.

რკინა-ბეტონისაგან ქალაქის მშენებლობის დაგეგმვა, როგორც ვიცით, საგარანტო 50 წლის

ვადით ხორციელდებოდა. მაგრამ ამ მასალისაგან დამზადებულ კონსტრუქციათა შედარებითი სიიფის, სიმტკიცისა და მშენებლობის სისწრაფის გამო მისი გამოყენება ეკონომიურად გამართლებული იყო, ნორმალურ, ცივილიზებულ, ეკონომიკურად გამართულ სახელმწიფოში შენობებს ფიზიკური ან მორალური სიძველის გამო, თუ იგი რაიმე ისტორიულ ფასეულობას არ წარმოადგენს, ამორტიზირების შემდეგ ანგრევენ. ტაძარი, რომელიც მშენებლობის დასრულებისთანავე პირველი ათწლეულის განმავლობაში მართლმადიდებლური სარწმუნოების სიმბოლოდ იქცევა, განადგურებისგან დაცული უნდა იყოს. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ... ვინმე იფიქრა, მისი დაშლის პროცესი სულიერების თვალთახედვით როგორ ეფექტს გამოიწვევს ჩვენი მესამე, მეოთხე თაობის ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ცნობიერებაში? ან იქნება იმედი აქვთ მავანთ ქართველთა ისეთი გადაგვარებისა, რომელიც იმ დროისათვის მძიმე მდგომარეობაში მყოფ ტაძარს დაემაგვება? ვერ ელირსებია!

საქართველოს ბევრი ჭირვარამი გადაუტანია, მაგრამ ქართული გენის მეშვეობით დღესაც ვარსებობთ და ღვთის მადლით, მარად ვიარსებებთ!

ხოლო ტაძრებს კი, მსგავსად ჩვენი წინაპრებისა, ქვისაგან ავაგებთ, რომელიც უხვად გვაქვს მარნეულის ბაზალტის, ქუთაისის გრანიტისა თუ სხვა ქვის საბადოთა სახით. მარტო ქალაქ თბილისში გაგავაჩნა ქვის სახერხი ასეულობით ქარხანა თუ საამქრო, სადაც შესაძლო იყო საბადოებიდან მოპოვებუ-

ლი, თავდაპირველად მეტად იაფი ქვის ვეება ლოდების მასიურ სამშენებლო ბლოკებად დახერხება, ზედაპირის დამუშავება (რაც მოპირკეთების დამატებით ხარჯებს გამოიწვევდა), ლითონის სამაგრებით მათი ერთმანეთთან დაკავშირება და აწყობა, ამ შემთხვევაში იგივე ცემენტის გამოყენება დასაშვებია იქნებოდა ბლოკების ერთმანეთთან მიდების და სიბრტყეთა ზედაპირებში გრძივი ღარების დაყოფებით, რაც შესაძლებელს გახდიდა მომავალში ამ ღარებში დაწნევის შეყვანილი ცემენტის დუღაბის ამობურღვას და კვლავ შეყვანის განმასხვებელ პროცესს. მაგრამ იფიქრა კი ამაზე ვინმე? პირიქით, თითოეული იმ ქვის ბლოკთაგანი, რომელიც ამ დიად საქმეში უნდა ჩადებულყო, ასეულობით კვადრატულ მეტრ ძვირადღირებულ ფილებად დაიხერხება და არსებულ ვითარებაში არა მათ ნამდვილ პატრონს — ხალხს, არამედ ძალზედ მცირე, მაგრამ მეტად მზაკვრული გონების მქონე ადამიანების ნაწილს ერგება ამ ფილებიდან ამოღებული დოლარების სახით ლენინის პორტრეტი თუმცა მაცხოვრის ჯვარცმით შესცვალეს, მაგრამ შიში მის მიმართ არ გააჩნიათ, თავად ჯვარცმული მაცხოვარი ევედრებოდა ღმერთს: „აბატიე მამაო, ვინაიდან არა უწყიან, რასა სჩადიან“. არც მათ იციან თავიანთი ცოდვის საზღაური.

ბატონი ირაკლი ანდროაძის მიერ გერმანიაში დაკვეთილი და თბილისში ჩამოტანილი შედგენილი დედო-ზარი, სამრეკლოზე მისი დამონტაჟებისა და პირველი დარეკვისთანავე გაიზარა და შეიქმნა საჭიროება

გარდა ამისა, მიუხედავად ობიექტზე უსაფრთხოების ტექნიკის სანიმუშო დაცვისა, მშენებლობის ტერიტორიაზე ბუნების სტიქიის მიერ გამოწვეულ არაერთ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა!

ამ ტაძრის მშენებლობის დამწყები და განმასხვრციელბელი ს.ს. კონცერნი „საქვირაბშენი“, როგორც ერთ-ერთი ქართული სამშენებლო ორგანიზაცია, განადგურებულ იქნა ქართველ ბანკირთა ზურგს უკან მდგომი საერთაშორისო საბანკო სისტემის ერთ-ერთი განსტოების მიერ! ხოლო ამ ორგანიზაციის იურიდიული მემკვიდრე შპს „საბას“ უფროსი ბატონი ჯამბულ ყავლაშვილი და მისი შრომითი კოლეგები, მიუხედავად უანგარო და თავდადებული შრომისა, ფინანსურ თუ ფიზიკურ განსაცდელში იმყოფება რატომ არ ჰკითხავენ საკუთარ გონებას, რა ხდება? იქნება აუხილოს ღმერთმა თვალნი?

ნამდვილად არ მინდა ეს ჩემი პესიმიზმი მკითხველს გადაედოს და ვიმედოვნებ, ბიოლოგიური მეცნიერება მომავალში მივა განვითარების იმ დონემდე, როცა ყველა ამ მავნე ბაქტერიებს ბოლოს მოუღებს და ეს მართლაც რომ უნიკალური ტაძარი არა საუკუნის, არამედ ათასწლეულთა მშენებლობად მოგვეცინება. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ტკივა.

დიდება უფალს!
ულრმესი პატივისცემით
ილია ხაჩიძე

VI. აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა

მე-5 გვერდიდან

ნით აკრძალულთა გარდა (აფსუა („აფხაზი“) ხალხი, გარდა ზემოხსენებული ტერიტორიული და ფუნქციური ავტონომიის პრინციპების განხორციელებისა, მთლიანად საქართველოს ცხოვრებაში მონაწილეობს მოსახლეობის ყველა სხვა ეროვნულ (ეთნიკურ) ჯგუფებთან, ქართველების ჩათვლით, თანამშრომლობის მხოლოდ პირად არჩევანზე დაყრდნობით ანუ ურთიერთშემავსებლობის, და არა ურთიერთგამიჯვნის, პრინციპით.

წინამდებარე პრინციპების რეალიზაცია მრავალი მეტრი და შედარებით დიდი დეტალის დახუტებას მოითხოვს, მაგრამ მათი არსი

— ის, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია,

— ის, რომ აფხაზეთი არა მხოლოდ აფსუების („აფხაზების“) მიწა-წყალია, არამედ იგი, აგრეთვე, ამ ტერიტორიის ავტონომიური მოსახლეობის, ქართველების მიწა-წყალია, დღესდღეობით რუსეთის მიერ დაპყრობილი და ოკუპირებული.

— ის, რომ ქართველი ერის ამოცანა და მისი მოვალეობა შთამომავლობის წინაშე არის ამ ტერიტორიის განთავისუფლება,

ის, რომ 1992-93 წლების ომი და მისი დღევანდელი გაგრძელება იყო და არის არა ქართულ-აფსურული („აფხაზური“) ომი, არამედ ქართულ-რუსული, რომ ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა არის რუსეთის და მისი ნების აღმასრულებელი არპინბას ხროვის დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ, რომელიც უნდა დასჯილ იქნეს,

— და, დასასრულ, ის, რომ ამ ტერიტორიის მომავალი არის პარამონული და დემოკრატიის ყველა ნორმის მიხედვით ორგანიზებული სამუდამო ერთიანი თანაცხოვრება ქართველებისა და აფსუებისა („აფხაზებისა“), ორივე ხალხის სრული და ყოველმხრივი თვითრეალიზაცია ამ ტერიტორიაზე.

გადახედული ვერ იქნება. იმედია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი წევრი სახელმწიფოები არ დაზოგავენ ძალისხმევას, რათა მთელი საქირო სიღრმით ჩასწვდნენ კონფლიქტის მიზეზებსა და მის ისტორიას და აღმოუჩინონ საქართველოს ის დახმარება, რაც აგრესიის მსხვერპლ სახელმწიფოს ეკუთვნის აგრესორისაგან დაცვის მხრივ მაშინაც კი, როცა აგრესორი ერთ-ერთი მსოფლიო სუპერძალაა.

რატომ გააყიდინეს სახლი ილია ხაჩიძის პარლამენტის სსლოპათა დარბაზის სარესტავრაციოდ?

1992-1993 საომარი წლების განმავლობაში ჩემი მასალებით და ჩემი ძალებით აღადგინე საქართველოს პარლამენტის სსლოპათა დარბაზის ურთულესი ორნამენტის თაბაშირის არქიტექტურული ნაკეთობანი, მაგრამ გენერალურმა დამკვეთმა — საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სამეურნეო სამართავლოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ და გენერალურმა მოიჯარემ ს.ს. მე-13 ტრესტმა, მიუხედავად მათივე მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბერების აქტებისა, ჩვენი კუთვნილი რომ არ გადაგვიხადეს, ამ პროდუქციის დასამზადებლად საჭირო მუშების ხელფასისა და მასალა-ნედლეულის ღირებულების გასასტუმრებლად საბოლოოდ იძულებული გავხდი, 1994 წლის 18 აგვისტოს სასწრაფოდ და ამიტომ წარმოუდგენლად დაბალ ფასში — 18200 დოლარად — გამეყრდა ქ. თბილისში ნაძალადევის რაიონში, ჩოღრიშვილის ქუჩა 78-ში მდებარე ჩემი ოჯახის საცხოვრებელი ორსართულიანი კაპიტალური სახლი 190 კვ. მ. საცხოვრებელი ფართით, 400 კვ. მ. ეზოთი, სარენი საამქროთი და სასაწყობო

ბო მეურნეობით. მას შემდეგ უკვე მე-7 წელიწადია მიუღლითა და ორი მოზარდი შვილით გადავდევართ ბინიდან ბინაზე ხელსაყრელი ქრის ტებანში. უკიდურესად მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ მაიძულა, დამეწყო უთანასწორო და ამიტომ იმთავითვე უპერსპექტივო ბრძოლა სამართლით უსამართლოებთან. ჩემი განცხადების საფუძველზე ნაძალადევის რაიონის პროკურატურის მიერ 1996 წლის 25 მარტს საქართველოს უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოში თითქმის ერთი წლის განმავლობაში ოთხჯერ შედგა სასამართლო პროცესი, რომლებზეც ს.ს. მე-13 ტრესტს ჩვენს სასარგებლოდ დაეკისრა: 25.04.96 წ. №11/8 გადაწყვეტილებით 68252 ლარის; 28.06.96 წ. №4-11/8 გადაწყვეტილებით 77815 ლარის; და საბოლოოდ საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს ზედამხედველობის კოლეგიის 02.08.96 წ. №ზ/66 დადგენილებით, 66089 ლარის გადახდა, რომლის თანახმად გ.ქ.მ. მთაწმინდის ფილიალთან ს.ს. მე-13 ტრესტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ჩამოგვერცხა პირველი 452 ლარი. გვეგონა გვეშველა, მაგრამ საქართვე-

ლოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების ქვეკომიტეტს თავიჯდომარის, პარლამენტის დეპუტატ ბატონი ვიტალი ხაზარაძის 9.08.96 წ. №12-1/28 ნერიული, სასამართლოს ვითომდა დამოუკიდებელ სამართალწამროების საქმეში ჩარევით, საბოლოოდ ეს დავა ძალადურად ეგრეთ ნოდებული „ურთიერთობებით“ დამსრულებინეს. და 3.12.96 წ. №ზ/66 განჩინებით ს.ს. მე-13 ტრესტს დაეკისრა ჩვენს სასარგებლოდ 12665 ლარის გადახდა. მაგრამ ფაქტურად ეს თანხა დღემდე ვერ მივიღეთ და ვერც მივიღებთ, რადგან იმთავითვე ჩვენს მიერ დამზადებული და სხდომითა დარბაზში დამონტაჟებული პროდუქციის არც რაოდენობა და არც ღირებულება ობიექტის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი არ არის ვინაიდან ხელს არავის აძლევს ამ კანონის დარღვევათა გამო-აშკარავება, როგორც „დაბალ ლობეს“, ყველა მე მზაგრაფს ყოველივე აქ თქმული შემძლია დავადასტურო დოკუმენტურად.

თანადგომის იმედით
ილია ხაჩიძე,
ფირმის დირექტორი

<p>მთავარი რედაქტორი სარედაქციო კოლეგია</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუბიძის ქ. №5 გაზეთის ინდექსი 66447</p>	<p>შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 ტელ: 93-15-89</p>	<p>გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს აგვტორო აგებს.</p>
--	--	--	--